# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 აგვისტო, 2013 წელი.

№147 (7274)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge    ვებ გვერდი: www.open.ge    ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა!..



ნაცებმა უნდა იგრძნონ ხალხის ძალა, უნდა იცოდნენ, რომ ერაყი და ლიბია მონაგონი იქნება!

3

# მედვედევს საქართველოს ახალი მთავრობის პრაგმატიზმისა სჯერა



რუსეთის პრემიერ-მინისტრი საქართველოს ახალი მთავრობის, 2008 წლის ომისა და საქართველოს პრეზიდენტის შესახებ

8

# ლენინი, ბარაკ ობამა, ელენე თევდორაძე და... სხვები

4

# წინ, უწიგნურობისაკენ!

6

# საარსებო მინიმუმი – 150 თუ 250 ლარი?

9

# სტუდენტებისთვის მხარდაჭერა მაგთისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია

7


მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ




## ნომრის ანონსი

# როგორ გავხდეთ ბედნიერები?




**ხვალიდან** ჩვენი გაზეთი იწყებს ცნობილი ინგლისელი ავტორის ადამ ჯექსონის გახმაურებული წიგნის **„ბედნიერების ათი მუღამი“**-ს ბეჭდვას.

ამ წიგნის გმირთა ისტორია რეალურ შემთხვევებზეა აგებული და საოცრად დამაჯერებლად მოგვითხრობს რეალური ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობებზე.

ჭეშმარიტი ბედნიერების მეათე მუღამის მიხედვით ბედნიერების მთავარი მამოძრავებელი ძალა რწმენაა. რწმენის გარეშე შეუძლებელია ხანგრძლივი ბედნიერება: რწმენა იწვევს ნდობას ადამიანებისადმი, ამშვიდებს გონებას და წმენდს სულს ეჭვებისგან, განგაშისგან, შეშფოთებისგან და შიშისგან...

**გინდათ დაეუფლოთ ბედნიერების ათსავე მუღამს? – აუცილებლად წაიკითხეთ ეს საოცარი წიგნი – თავისებური ინსტრუქცია-რეცეპტი ბედსვიანობის მოსაპოვებლად!**

# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ პოზიცია

# აგვისტოს ომის შეფასებაში ჩვენ დიდხანს ვერ შევთანხმდებით



**ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა.**

როგორც ზურაბ აბაშიძემ დიმიტრი მედვედევის 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების შეფასებისას აღნიშნა, საქართველო მსხვერპლი გახდა რუსეთის აგრესიის, თუმცა საქართველოს მხრიდანაც იქნა დაშვებული უმძიმესი, დრამატული შეცდომები.

— 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებაში ჩვენ რუსეთთან ეტყობა ვერ შევთანხმდებით კარგა ხანს, ისევე როგორც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა, ყოველ შემთხვევაში მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ შეთანხმდება. ზოგადად, ამ მოვლენებს, ყველაზე ობიექტური შეფასება მიეცა ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნაში. იქ, ჩემი აზრით, ობიექტურად არის ყველაფერი გაანალიზებული, ამ ომის ისტორიული ფესვები, მიზეზები, მოვლენათა განვითარება, კულმინაცია და ასევე, კონფლიქტის მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობაც არის საკმაოდ სწორად განსაზღვრული. ჩემი აზრიც ის არის, რომ საქართველო მსხვერპლი გახდა რუსეთის აგრესიის, მაგრამ ჩვენი მხრიდანაც დაშვებული იქნა უმძიმესი, დრამატული შეცდომები, რამაც მიგვიყვანა იქ სადაც დღეს ვართ. ვართ იქ, რომ ნაწილი ჩვენი ტერიტორიებისა ოკუპირებულია, რუსეთმა აღიარა დამოუკიდებლობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა. ამით შეიქმნა ისეთი სამართლებრივი მოჯადოებული წრე, საიდანაც გამოსავალი ჯერ არსად ჩანს, — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, მიუხედავად ომიდან გამოწვეული შედეგებისა, საქართველო-რუსეთს შორის არსებული ჩიხური ვითარება, როგორმე უნდა გადაილახოს.

რაც შეეხება მედვედევის განცხადებას, რომ ის ივანიშვილის მიერ სააკაშვილის ომის გაღვივებაში დადანაშაულებას „ვაჟკაცურ სიტყვებს“ უწოდებს, როგორც აბაშიძემ განაცხადა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს მსგავსი შეფასება არ გაუკეთებია.

◉ ამასაც თუ დედაქალაქში ცხოვრება ჰქვია!

# თბილისი ეკოლოგიურ ჩიხშია!



**საქართველოს დედაქალქში ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების ნიშანწყალიც არ შეიმჩნევა. ამის მიზეზი თბილისის მერიის არაადეკვატური პოზიციაა. ბოლო წლებში, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყნის მთავარი ქალაქი განსაკუთრებით დაზარალდა.**

**გარემოსდამცველი ლაშა ჩხარტიშვილის აზრით, დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა ძალიან რთულია. „ქალაქში დაბინძურების პრობლემაა. პირველ რიგში, ქვეყანაში შემოდის ტყვიითა და სხვა მძიმე ლითონების ნარჩენებით დაბინძურებული საწვავი, ეს არ ჯდება არც საერთაშორისო და არც საქართველოში მოქმედ სტანდარტებში.**

შესაბამისად, პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ხე-ნარგავების მასობრივი გაჩეხვა და განადგურება. ეს ხდებოდა ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მართალია, დღეს ნაციონალები აღარ მართავენ ქვეყანას, მაგრამ ეს ახალ ხელისუფლებას არანაირად არ ათავისუფლებს ვალდებულებებისაგან“, — აცხადებს ჩხარტიშვილი.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებაშია საკრებულოს 2012 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც თბილისში ბაღების, პარკების და სხვა მწვანე ტერიტორიების გასხვისება, ასევე მათზე სამთვა გაიცა. კუს ტბაზეც გადარგვის ნებართვა გაიცა, რაც სეზონურობის თვალსაზრისით გაჩეხვის ტოლფასია“, — აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, თბილისში გამწვანებული ტერიტორიები ევროპულ სტანდარტებზე ათჯერ ნაკლებია.

თბილისიდან ატმოსფეროში ყოველწლიურად დაახლოებით 276500 ტონა მავნე ნივთიერება ხვდება, რომლის 83,3% ავტოტრანსპორტზე მოდის. ქ. ქუთაისში ატმოსფეროში მოხვედრილი გამონაბოლქვი ნივთიერებების მასა 76200 ტონას შეადგენს.

ტვიფი (სმოგი) კვამლის, ნისლისა და მტვრის ნარევია, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვისგან წარმოიქმნება. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ხშირია ტვიფი, რის გამოც ჰაერი ძალიან ჭუჭყიანია. ამის მთავარი მიზეზი კი ავტომობილებითა და სხვა ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩებია.

მსოფლიოს ოთხას ქალაქს შორის, თბილისი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მე-200 ადგილზეა. ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ ჰაერის დაბინძურება გახლავთ.

ჰაერის დაბინძურება კი უამრავი დაავადების გამომწვევი მიზეზი ხდება. მაგალითად, მოსახლეობაში სასუნთქი გზებისა და ფილტვის დაავადების პროცენტული მაჩვენებლებით თბილისი „მოწინავეა“ როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ჰაერის დაბინძურებასთან ერთად, დაავადებულ ადამიანთა რაოდენობაც იზრდება.



შენებლო ნებართვის გაცემა და ჯანსაღი ხეების მოჭრის ნებართვა აკრძალულია, მაგრამ ამას დღესაც აკეთებენ, რასაც ადასტურებს კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციულ ზონაში ხეების მასობრივი ჩეხვის ფაქტიც.

„მე როგორც გარემოს დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვცდილობდი კუს ტბაზე მშენებლობისთვის ხელი შეგვეშალა, მაგრამ ეს არ არის გამონაკლისი. უამრავი ასეთი ფაქტი არსებობს. გაიჩეხა არაყიშვილისა და აბაშიძის ქუჩის კუთხე, ასევე 57-ე სკოლის ტერიტორია, საბურთალოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორია და მრავალი სხვა.

არაყიშვილისა და აბაშიძის ქუჩების შემთხვევაში აბსოლუტურად ჯანსაღი ხეების ჭრის ნებარ-

დედაქალაქში ჰაერის დაბინძურებაზე საუბრობენ ქალაქის მკვიდრნიც. კონსალტინგური კომპანია „ეისითი“-ს კვლევის მიხედვით, ათიდან რვა თბილისელი (77%) თვლის, რომ თბილისში ეკოლოგიურად ცუდი, ან ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ამასთან, საგულისხმოა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (62%) ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას ამჩნევს.

**გიორგი ბექაური**

◉ კანონმდებლები

# შვიდი პოლიტიკური გაერთიანება 150-150 ათასს ლარს ერთ თვეში მიიღებს

**ამას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელსაც პარლამენტი მიმდინარე კვირაში დაჩქარებული წესით — სამივე მოსმენით მიიღებს. პარტიათა საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის თაობაზე შემუშავებული პროექტი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება.**



კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, საბაზისო დაფინანსების არსებული ოდენობა ორმაგდება. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთინებების შესახებ“ მოქმედი კანონით საბაზისო დაფინანსება წელიწადში 150 ათასი ლარია, პროექტის მიხედვით კი, ის 300 ათას ლარამდე იზრდება. ეს ზრდა 14 ე.წ. კვალიფიციურ სუბიექტს შეეხება.

წელიწადში 300-300 ათასი ლარი ემატება პარტიას, რომელმაც საარჩევნო ბარიერი გადალახა და პარლამენტში ფრაქცია შექმნა. პროექტის თანახმად, პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების გაანგარიშების ფორმულაში პირდაპირ განისაზღვრება, რომ ბიუჯეტიდან ასეთ დაფინანსებას იღებს პარტია, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკო-ში იყო რეგისტრირებული და პარლამენტში ფრაქცია შექმნა. ფრაქციის შექმნისთვის მისაღების დაფინანსება კი საბაზისო დაფინანსების ტოლია, ანუ ისიც 300 ათასს ლარს შეადგენს. დამატებით 300 ათასის მიმღები შვიდი პარტია: — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ექვსი პოლიტიკური გაერთიანება იქნება. დაფინანსების ამ პრინციპის შემოღებით, მათთვის ბიუჯეტიდან დამატებით 2 მილიონ 100 ათასი ლარი უნდა გამოიყოს.

გარდა ამისა, დღეს მოქმედი კანონით, თუ საარჩევნო სუბიექტი (პარტია/საარჩევნო ბლოკი) უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში 8%-იან ბარიერს ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში — 6%-იან ბარიერს ლახავს, მისი საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300 000 ლარია. მომზადებული პროექტის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის თავად ბარიერი მცირდება, ხოლო საბაზისო დაფინანსების ოდენობა აქაც ორმაგდება და ჯამში 600 000 ლარი ხდება.

რაც შეეხება არასაპარლამენტო პარტიებისთვის ბიუჯეტიდან ერთჯერადი სახით 150-150 ათასი ლარის გამოყოფის საკითხს, ამ მიმართულებით ცვლილება კანონის გარდამავალ დებულებებში შედის, რომლის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე შვიდი საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტს, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილი არ არიან, ერთჯერადად პარტიების საბაზისო დაფინანსების ნახევარი უნდა მიეცეს, ანუ საუბარია 150 ათასს ლარზე. ასეთი საარჩევნო სუბიექტი დაფინანსებას მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიიღებს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კანონის ამოქმედებიდან 20 დღის ვადაში უნდა წარედგინოს. თუკი პარტია აღნიშნულ ვადაში თანხმობას არ წარადგენს, დაფინანსების მიღების უფლებას კარგავს.

კანონპროექტში ჩადებული ფორმულირების გათვალისწინებით, ერთჯერად 150-150 ათასს ლარს მიიღებს: „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „ევროპელი-დემოკრატების კოალიცია“, „ახალი მემარჯვენეები“, „ქართული დასი“, „თავისუფალი საქართველო“, „ლეიბორისტები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“. ჯამში მათთვის 1 მილიონ 50 ათასი ლარი უნდა გამოიყოს.

**ინტერპრესი**

◉ ალიან-ჩალიანი

## ბენდუქიძემ უძველესი ღვინის კოლექცია კაპიკებში შეიძინა და გასაყიდად ამზადებს



**ზესტაფონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ზესტაფონის სამოქალაქო დარბაზის“ წევრებმა გუშინ ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს.**

**აქციის მონაწილეები ზესტაფონში, სოფელ საქარის ისტორიული ღვინის მარნის გაუქმებასა და 1905 წლიდან დათარიღებული ღვინოების გაყიდვას აპროტესტებენ.**

**როგორც „ზესტაფონის სამოქალაქო დარბაზის“ წევრმა ნაზი ცქიტიშვილმა განაცხადა, 130 წლის წინ დაარსებული ღვინის მარანი წინა ხელისუფლებამ აგრარულ უნივერსიტეტს დაუქვემდებარა. მისივე თქმით, უნივერსიტეტის მეპატრონე კახა ბენდუქიძემ მარანი გააუქმა და ღვინოების თითო ბოთლი 19 თეთრად შეიძინა, მაშინ, როცა ერთი ბოთლის ფასი 1000-დან 3000 დოლარამდე მერყეობს.**

**აქციის მონაწილეების ინფორმაციით, 17 000 ბოთლი გასატანად უკვე გამზადებულია, რასაც ადგილობრივები ეწინააღმდეგებიან.**

## დაუბრუნდება თუ არა ნამინისტრალი თანამდებობას



**დავით კირვალიძე ჯერჯერობით არ ამბობს შეთავაზების შემთხვევაში, დათანხმდება თუ არა სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობას.**

**ჟურნალისტების კითხვაზე, განიხილება თუ არა მინისტრის თანამდებობაზე მისი დაბრუნების საკითხი, დავით კირვალიძემ უპასუხა, რომ ამ თემაზე ჯერ საუბარი ნაადრევია.**

**ამასთან, დავით კირვალიძე პროკურატურის ინიციატივას სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნებისთვის აღმკვეთ ღონისძიების შეცვლის შესახებ მიესალმება.**

**ინტერპრესი**

# მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა!..




**2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, იმედი მოგვეცა, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა დაუყოვნებლივ დაიწყებდა სამართლიანობის აღდგენას, დაუბრუნებდა (შეეცდებოდა მაინც) მოსახლეობას წართმეულ ქონებას, მორალურ შვებას მისცემდა ჩარეცხილების, უზადრუკებისა და კორუმპირებულების იარლიყით სამსახურებიდან გამოყრილ ათეულ ათასობით მოქალაქეს თუნდაც იმით, რომ თავისი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა მათ ჩართულობას ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში...**

**ერთი სიტყვით, გვჯეროდა (და ახლაც გვინდა დავიჯეროთ), რომ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც წლების მანძილზე გაუგონარი ძალადობისა და დამცირების მსხვერპლი იყო, აიხდენდა ნამდვილ ქართულ ოცნებას.**

სამწუხაროდ, განვლილი პერიოდი არ იძლევა მსგავსი ოპტიმიზმის საფუძველს, რადგან 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებით იხეირეს მხოლოდ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ და ცალკეულმა ადამიანებმა, რის გამოც განცდა იმისა, რომ სამართლიანობა ყველას შეეხებოდა, დღითი დღე კლებულობს.

მინდა, საზოგადოებას ვაუწყო: 2012 წლის 3 ნოემბერს დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია, „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“, რომელშიც გაერთიანებულია 500-მდე მაღალი კვალიფიკაციის და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურისტი.

დაარსების დღიდანვე კავშირის წევრებმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს მზადყოფნა ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერად. კონკრეტულად კი, სურვილის არსებობის შემთხვევაში, დაეხმაროს სამართალდამცავ ორგანოებს: შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმეები, განაჩენების კანონიერება და მისცეს სრულყოფილი, მაღალკვალიფიციური დასკვნა. სამწუხაროდ, ჩვენი წინადადება არავინ არ გაითვალისწინა, მაშინ, როდესაც ქვეყანაში აშკარად იგრძნობა პროფესიონალი და მიუკერძოებელი სამართალდამცავების ნაკლებობა. პროკურატურაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ მუშაობენ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან ახალგაზრდები, რომლებსაც ახალი დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, არ აქვთ არავითარი პროფესიული გამოცდილება. ამ დროს უმუშევარია სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის მიერ სამსახურებიდან უკანონოდ გათავისუფლებული ასეულობით პიროვნება!

დღევანდელი ხელისუფლება, იმის შიშით, რომ დასავლეთს არ აწყენინოს, თავდაცვის მდგომარეობაშია, ნაციონალები თავზე მოაჯდნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პირები, რომლებიც წესით ციხეში უნდა იმყოფებოდნენ, ისე გათავხედდნენ, რომ ჭკუას გვასწავლიან, ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ გვლანძღავენ! ამ მხრივ სააკაშვილმა რეკორდი დაამყარა.

რომელ თანამშრომლობაზეა ლაპარაკი სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა თუ ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, პირიქით – შეტევაზე არიან გადმოსულები, ალბათ, საჭიროა, საქართველოს ყველა ქალაქში ქუჩებში გამოვიდეს ასი ათასობით ადამიანი, რათა ნაცებს კარგად დაანახონ ხალხის ძალა, გაიგონ, რომ ყოველგვარ მოთმინებას საზღვარი აქვს, ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა მათ თავზე იგივე არ დატრიალდეს, რაც ლიბანში, ეგვიპტეში და სხვა არაბულ ქვეყნებში მოხდა. მხარი დავუჭიროთ და გავამხნევოთ ბატონი ბიძინა ივანიშვილი. არავითარი დათმობა, ყველა პიროვნება, მიუხედავად მათი თანამდებობისა წარსულში და დღესაც, უნდა დაისაჯოს მიუტევებელი დანაშაულისთვის.

შეურაცხმყოფელი და არადიპლომატიურია დასავლეთელი „მეგობრების“ უსამართლო, ზოგჯერ დამამცირებელი გამოსვლები საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, როცა თავგამოდებით იცავენ სააკაშვილს და მის დამნაშავეთა ბანდას. რატომ იყვნენ ჩუმად, ხმას არ იღებდნენ, როცა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი საშინელ დანაშაულებს სჩადიოდა საკუთარი ხალხის მიმართ. ეს ხომ ძალიან კარგად იყო მათთვის ცნობილი?

სააკაშვილის რეჟიმი სამართლებრივად უნდა შევაფასოთ, როგორც დამნაშავე რეჟიმი, საჭიროა შესრულდეს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნება, დაისაჯონ დამნაშავეები, არამზადებთან უნდა შეწყდეს კეკლუცობა, ენის მოჩლექით ლაპარაკი. ამგვარი პოლიტიკის შედეგია იუსტიციის საბჭოს არჩევნების შედეგები, დამნაშავე მოსამართლეებმა იუსტიციის საბჭოში აირჩიეს დამნაშავე კოლეგები! ფაქტობრივად, კუბლაშვილმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა.

უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ეკისრება იმ პირებს, რომლებსაც ბატონი ბიძინა ენდობა. ჩააბარა უმაღლესი თანამდებობები პირებს, რომლებიც, გულახდილად რომ ვთქვათ, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელდასხმით გახდნენ დეპუტატები. მინისტრობის ყველა კანდიდატი აცხადებდა, რომ მათი მუშაობა იქნებოდა გამჭვირვალე, ეს პირობა უნდა შესრულდეს. ასევე ახლად არჩეულ დეპუტატებს არ უნდა დაავიწყდეთ ის დაპირებები, რომლებსაც ისინი გულუხვად არიგებდნენ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამომრჩეველი ვერ შეხვდეს მის არჩეულს. ამომრჩევლის წერილებზე პირადად დეპუტატი უნდა უპასუხებდეს და არა მისი წარმომადგენელი, უნდა გამოქვეყნდეს ყველა დეპუტატის როგორც მობილური, ისე სამსახურებრივი ტელეფონი.

მიმაჩნია, რომ თვეში ერთხელ მაინც მინისტრს უნდა ჰქონდეს მოქალაქეთა მიღების დღეები, ხოლო მათ მოადგილეებს კვირაში ერთხელ მაინც. სამწუხაროა, რომ მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე, როგორც სამინისტროდან, ისე პრემიერ-მინისტრის აპარატიდან, არა არის პასუხი, ეს სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“ კოალიციის. დეპუტატების მუშაობით (რამდენიმე დეპუტატის გამოკლებით) ნაციონალების დეპუტატები უფრო ორგანიზებული და შემტევნი არიან. საზოგადოება უკმაყოფილოა სამინისტროებში, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებში გატარებული პოლიტიკით. როგორც უკვე ვთქვით, შემორჩენილია ძალიან ბევრი ძველი კადრი, რომელთა დიდი ნაწილი ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში. არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ არის კადრების დეფიციტი, სინამდვილეში არის ძალიან ბევრი პროფესიონალი, გამოცდილი, პატიოსანი პიროვნება, რომლებიც სააკაშვილმა უკანონოდ გაყარა სამსახურებიდან. როგორც აღვნიშნე, საჭიროა იმ ხალხის გამოყენება, ვინც საპენსიო ასაკის არ არის. უნდა დაინიშნონ ვაკანტურ თანამდებობებზე, ხოლო პენსიონერებთან დაიდოს ხელშეკრულებები, მათგან ისინი მიიღებენ ფასდაუდებელ რჩევებს. სამწუხაროდ, მრჩევლებად იწვევენ ოთხხუთკაციან არასამთავრობოებს, რომლებიც სოკოებივით მრავლდებიან თბილისში. გაურკვეველია ამ ეგრეთ წოდებული არასამთავრობოების წარმოშობისა და დაფინანსების წყაროები, მათი მიზნები. საზოგადოების შეფასებით, ამ არასამთავრობოების დიდი ნაწილი დაფარულად თუ ღიად ებრძვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალიან სუსტია საინფორმაციო ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. არ ხდება იმ წარმატებების გაშუქებაც კი, რასაც ხელისუფლება აღწევს.

ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტებს, განსაკუთრებით ტელეჟურნალისტებს უკავიათ გაურკვეველი პოზიცია, ისინი ძირითადად მიშას თამაშს თამაშობენ. ახლა კეკლუცობისა და ხალხის დაბნევის დრო არ არის, საგნებს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არასწორია, როდესაც ტელევიზიებში იწვევენ ერთს და იმავე პირებს, რომელთა მოსმენა და ყურება მაყურებელს და მსმენელს ყელში ამოუვიდა. უკეთესი იქნებოდა ტელევიზიებმა და რადიოებმა კვირაში ერთი დღე დაუთმონ რიგით მოქალაქეებს, დარწმუნებული ვარ მათი გამოსვლები უფრო მეტად გულწრფელი და საინტერესო იქნება.

ამ ბოლო დროს საქართველოს მთავარმა პროკურორმა ახალი ორიგინალური წინადადება წამოაყენა „თეთრსაყელოიანების“, ყოფილი ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ასიათასობით, მილიონობით ქონების მითვისებაში, დიდი ოდენობის ქრთამის აღებაში, სასამართლოს წინაშე არ დააყენოს მათთვის აღმკვეთი ღონისძიება, რაც დღევანდელ პირობებში დაუშვებლად, არასწორად მიმაჩნია. რა გარანტია გვაქვს, რომ მილიონების მფლობელი ზეგავლენას არ მოახდენს მოწმეებზე თავის სასარგებლოდ, არ აარიდებს თავს გამოძიებას და ან არ გაიქცევა საქართველოდან. რა გამოდის, დაპატიმრებული უნდა იქნას პირი, რომელმაც უკიდურესი გაჭირვების გამო მოიპარა, ან რიგითი ჩინოვნიკი, რომელმაც აიღო 100 ლარის ქრთამი და ამ დროს თავისუფლებაში უნდა იმყოფებოდეს პირი, რომელმაც მილიონობით ზარალი მიაყენა ქვეყანას, ან ქრთამი აიღო ასიათასობით დოლარი.

საზოგადოების დიდი ნაწილი არ დაეთანხმება მთავარი პროკურორის ამ გადაწყვეტილების რეალიზებას. პროკურატურა, ალბათ, იმიტომ აპირებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომ დარწმუნებული არ არის მათ მიერ მოთხოვნილ აღმკვეთ ღონისძიებას სასამართლო დააკმაყოფილებს თუ არა.

**რაც შეეხება ფარულ ჩანაწერებს, რომლებიც უკანონოდ იქნა მოპოვებული, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მათი განადგურებისა, რადგანაც ეს იქნება დანაშაულის ტოლფასი, ამ მოქმედებებით ხელს ვაფარებთ დამნაშავეებს, რომლებმაც ფარული, უკანონო ჩანაწერები სხვათა დასაშანტაჟებლად შეაგროვეს!..**



**თემურ ონიანი,**
**არასამთავრობო ორგანიზაცია „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“, ვიცე-პრეზიდენტი.**

**◎ უვადო პატიმრობამისჯილი**



## გია გვიჩიანი ნიკა ლომინაძის მამას მიმართავს

**„თელასის“ მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებული, უვადო პატიმრობაში მყოფი გია გვიჩიანი ნიკა ლომინაძის მამას მიმართავს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გვიჩიანის ოჯახმა აცნობა, გია გვიჩიანი ნოდარ ლომინაძეს მოუწოდებს, რომ აქტიურად ჩაერთოს საქმის ხელახალ განხილვაში.**

**– მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, დანიშნულია სასამართლო სხდომა, სადაც მოხდება ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის ხელახალი განხილვა. მიუხედავად ჩემი მრავალგზის მოწოდებისა, დაზარალებულ ნოდარ ლომინაძეს სრულიად უსაფუძვლოდ, ბრმად სჯერა, ადეიშვილის პროკურატურის და კვლავ დარწმუნებულია ჩემს მიერ დანაშაულის ჩადენაში. კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვუწოდებ ნოდარ ლომინაძეს, გაეცნოს საქმის მასალებს, დაინტერესდეს თითოეული დეტალით და აქტიურად ჩაერთოს საქმის გადახედვის პროცესში. მე უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ. სააკაშვილის რეჟიმმა ცხოვრება დამინგრია. შურისძიებას არ ვაპირებ, მაგრამ სასამართლოს გზით ყველას მოვთხოვ პასუხს, ცილისწამებაზე და ცრუ ჩვენებებზე, – ნათქვამია გვიჩიანის მიმართვაში.**

**„თელასის“ მენეჯერი ნიკა ლომინაძე 2002 წელს, ბახტრიონზე მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლეს. მისი მკვლელობის შემკვეთად გია გვიჩიანი დამნაშავედ სცნეს და 2006 წელს დააკავეს. გვიჩიანი „თელასში“ ექსპერტად მუშაობდა.**

**უვადო პატიმრობამისჯილი გვიჩიანი თავს უდანაშაულოდ სცნობს. იგი მის დაკავებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გადაფარვის მიზანს უკავშირებს.**

**ინტერპრესი**

# დრონი მეფობენ და არა მეფენი!

# ლენინი, ბარაკ ობამა, ელენე თევდორაძე და... სხვები

**ყოველი ჩვენგანი ამ ცხოვრებაში საკუთარი გზის გაკვლევასა და საზოგადოებრივი კიბის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე ოცნებობს.**

გავრცელებულია აზრი, რომ წარმატებულ კარიერად იღბლიანი მეწარმეობა, შოუ-ბიზნესის პოპულარული წარმომადგენლობა ან წარმატებული პოლიტიკოსობა ითვლება.

ამათგან საქართველოში განსაკუთრებულად მაინც პარლამენტარობა ფასობს. უბრალო ობივატელის აზრით პოლიტიკოსები ბედს არ უჩივიან და ამა სოფლის ყველა სიკეთითაც მაქსიმალურად სარგებლობენ. სამწუხაროდ მედალს მეორე მხარეც გააჩნია და ძლიერნიც ამა ქვეყნისა ხშირ შემთხვევაში ერთი უბედური და კომპლექსებით დაჯილდოებული ადამიანები არიან.

მრავალი პიროვნება საკუთარ თავს ოცნებებში აშშ-ის პრეზიდენტის როლში წარმოიდგენს, მაგრამ სამწუხაროდ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის პირველი პირები ზოგჯერ განსაკუთრებით უიღბლონი არიან.



ამისი ნათელი დადასტურებაა თუნდაც ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის აბრაამ ლინკოლნის ბიოგრაფია. თავად განსაჯეთ: 31 წლის ასაკში- მარცხი ბიზნესში, მომდევნო წელს — სასამართლო პროცესის წაგება, 35 წლისას — სატრფოს სიკვდილი, 38 წლის ასაკში — არჩევნებში დამარცხება, 43 წლის — კონგრესში ვერ მოხვედრა, 55 წლის — სენატის გარეთ დარჩენა, 56 წლის — ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის ჩავარდნა, 60 წლისამ ბოლო და ბოლოს საწადელს მიაღწია და ქვეყნის პირველი პირის სავარძელს დაეუფლა, მაგრამ იდილიამ დიდი ხანი ვერ გასტანა და სიცოცხლესაც გამოასალმეს. ფორტუნა ცვალებადია, ხშირად გვერდს გივლის, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გწირავს. საწყალმა აბრაამმა კი ალბათ რაღაცა დააშავა და ბედის ვარსკვლავმაც ამისათვის სამაგალითოდ დასაჯა.

არანაკლები სიდიადის იმპერიას ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას - ძე ლენინი. მსოფლიოს ყველა ჩაგრული ხალხის მეგობარი თურმე ერთი კომპლექსიანი და მუდმივი დეპრესიით გატანჯული ადამიანი ყოფილა. არ ვიცი საქართველოში ლენინის იდეების თაყვანისმცემლები თუ შემორჩნენ. თუ არსებობენ ალბათ ცოცხალი ვერ გადავურჩები, რადგან გავბედავ და გაცნობებთ რომ მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადი თურმე აქტიური ჰომოსექსუალისტი ყოფილა. ჩვენი ყოფილი ბელადის ბოი ჯორჯის, ელტონ ჯონის ან ბორის მოისეევის თანამოძმეთა შორის დასახელების მიზეზი კი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ულიანოვ-ლენინის დედა, მარია ალექსანდრეს-ასული რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის კარის ფრეილინა ყოფილა. სამეფო კარზე ცხოვრებისას „სუსტი სქესის" გადაჭარბებული მოყვარული ალექსანდრე მესამის თვალთახედვის არეში მოხვდა. მათი „გულთბილი" ურთიერთობის შედეგად ამ სამყაროს ლენინის უფროსი ძმა ალექსანდრე მოევლინა. „სექსაპილური" ფრეილინა ამით არ დაკმაყოფილდა და ერთი წლის შემდეგ უცნობი მამაკაცისაგან კიდევ ერთი შვილი, ამჟამად გოგონა გააჩინა. ცხადია, რომ ასეთ ამორალურ ქალბატონს მეფის სასახლეში არავინ გააჩერებდა. გამოსავალიც მოიძებნა. იმდროინდელმა ოხრანკამ პეტერბურგში ჰომოსექსუალისტი ილია ულიანოვი აღმოაჩინა. ამ უკანასკნელს ცოლად „შეცდენილი" მარია გაატანეს და საცხოვრებლად ციმბირში განაწესეს.



იქ ბატონმა ილიამ გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა, მისმა მეუღლემ კი ჭკუა ვერ ისწავლა და „აქტიური ცხოვრება" გააგრძელა. დროთა განმავლობაში სხვადასხვა მამაკაცებისაგან კიდევ ოთხი შვილი, მათ შორის ქვეყნის მომავალი ბელადი გააჩინა. ილიჩის ბავშვობა და ყრმობა მწარე აღმოჩნდა. სახლში „ოფიციალური" მამა არატრადიციული სექსუალური ურთიერთობებისაკენ უბიძგებდა, გარეთ კი მშობლების ქცევის წესის გამო მუდმივად თანატოლების დაცინვის ობიექტი ხდებოდა. რასაკვირველია ყოველივე ამას ლენინის ფსიქიკაზე გავლენა უნდა მოეხდინა და საბჭოთა ხალხის მომავალმა წინამძღოლმა მთელი კაცობრიობა ბავშვობიდანვე შეიძულა.

**რამდენიმე წლის წინ რაღაცაზე განერვიულებულმა ჩვენი პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა დარბაზში მყოფ საზოგადოებას ფსიქიკური გამოკვლევებისაკენ მოუწოდა. ამაზე ქალბატონი ელენე თევდორაძე აღშფოთდა და საპასუხო რეპლიკას წამოისროლა, „ჩვენ აქ ყველანი უკვე გამოკვლევებულები ვართო".**

ეს „სახალისო" ისტორია წინა საუკუნის სამოცდაათიან წლებში ცნობილმა მწერალმა მარიეტა შაგინიანმა გამოააშკარავა, მაგრამ იმდროინდელი პარტიული ლიდერების ბრეჟნევისა და სუსლოვის აქტიური ჩარევის შემდეგ დიდი ხნით დავიწყებას მიეცა.

თავის დროზე ასევე მთელ მსოფლიოს აზანზარებდა გერმანელი ადოლფ ჰიტლერის სახელი. ისიც თურმე უბედური ადამიანი ყოფილა, რადგან არც მეტი არც ნაკლები მხოლოდ ერთი სათესლე ჯირკვალი ჰქონია. პირველი მსოფლიო ომის დროს ეფრეიტორი ადოლფი ბრძოლის ველზე მსუბუქად დაიჭრა და საველე ექიმმა იოჰან იამბორამ ოპერაცია გაუკეთა. შედეგად „მაინ კამპფის" მომავალმა ავტორმა ცხოვრება ნაკლული ორგანოთი გააგრძელა. საინტერესოა, რომ იმდროინდელ ბრიტანულ ჯარისკაცულ ფოლკლორში, ჰიტლერის ამ ნაკლს ხშირად ახსენებდნენ. ამ ფაქტის საიმედო დადასტურება მხოლოდ ახლახან მოხერხდა.



მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე უინსტონ ჩერჩილი პირიქით, თურმე იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და სიკვდილს ერთხელ სრულიად შემთხვევით გადაურჩა. 1941 წელს, მეზენიტეების ბატარეის შემოწმებიდან დაბრუნებისას, ჩერჩილმა ჩვეული წესი დაარღვია და მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათდა. სწორადაც მოიქცა, რადგან გზაში ბომბი აფეთქდა. წინ მჯდომი პრემიერის ადიუტანტი გარდაიცვალა, უინსტონ ჩერჩილი კი სრულიად უვნებელი გადარჩა. რომ არა ბედისწერა, ბრიტანეთის იმდროინდელი ლიდერი დაიღუპებოდა და ეს ფაქტი ალბათ ისტორიის პერიპეტიებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდა, შესაბამისად გადაიწერებოდა მეორე მსოფლიო ომის მატიანეც.



რამდენიმე წლის წინათ ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი დააკავეს და შემდეგ სიკვდილითაც დასაჯეს. ლაპარაკი არ უნდა, რომ მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი სადამის მზის ჩასვენებას დიდი სიხარულით შეეგება, მაგრამ განსაკუთრებული აღტაცება მაინც ერთმა ჩვეულებრივმა ამერიკელმა დიასახლისმა შერი ლინდბერგმა გამოხატა. 2003 წლის 12 დეკემბერს ეს მანდილოსანი ინტერნეტში დასეირნობდა და შემთხვევით წააწყდა ერთ-ერთ ტოტალიზატორს, სადაც, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, სადამ ჰუსეინის დაჭერის სავარაუდო თარიღზე იღებდნენ ფსონებს.

აზარტულმა შერიმ არჩევანი 14 დეკემბერზე გააკეთა და 10 დოლარსაც ჩამოვიდა. საუბედუროდ თითი ზედმეტ ნულს დააჭირა და საბუკმეიკერულ კანტორაში 1000 დოლარი გააგზავნა. არ ვიცი ეს ქალბატონი ბულგარელი ნათელმხილველი ვანგას შემოქმედებას კარგად იცნობდა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ზუსტად ამ დღეს ჰუსეინს შავი დილა გაუთენდა, „მაზაობის" მოყვარულმა დიაცმა კი 130 ათასი დოლარი მოიგო. ლინდბერგი ნამუსიანი ადამიანი აღმოჩნდა და მოგებული თანხიდან ორი ათასი დოლარი სადამს ციხეში გადაუგზავნა, რათა მისი პატიმრული ცხოვრების პირობები ცოტათი შეემსუბუქებინა. საკითხავია, ისედაც გაუბედურებული ექს- დიქტატორი რა ხასიათზე დადგებოდა, როდესაც გაიგებდა რომ მის ტრაგედიაზე ვიღაცა ამერიკელი თამაშობდა და შემდეგ კარგა დიდი ფულიც მოხსნა.



ოკეანისგაღმელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ აშშ-ის ამჟამინდელ პირველ პირს ბარაკ ობამას ერთი დიდი საიდუმლო ჰქონია. რამდენიმე წლის წინ ამ ქვეყნის იმიგრაციულმა სამსახურებმა გამოააშკარავეს ვინმე ზეითუნი ონიანგო. ეს უკანასკნელი მთელი ოთხი წლის განმავლობაში ამერიკაში არალეგალურად ცხოვრობდა. ქალბატონი ზეითუნი ბარაკ ობამას ღვიძლი მამიდაა და დღეისათვის ქალაქ ბოსტონში ცხოვრობს. საარჩევნო კამპანიისას ობამამ განაცხადა, რომ მამიდამისის აშშ-ში ცხოვრების ფაქტი მისთვის დიდი მოულოდნელობა იყო და არჩევნების შედეგებზე ამას გავლენა არ უნდა მოეხდინა. ასეც მოხდა. თეთრი სახლის დაკავების შემდეგ კი ზეითუნ ონიანგო ცნობილი ძმისშვილის დახმარებით ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა.

მას შემდეგ რაც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის სათავეში მოექცა, ბარაკ ობამა საყოველთაო ყურადღებით სარგებლობს. ცოტა ხნის წინ ჯეიმს ბონდის როლის ამჟამინდელმა შემსრულებელმა დენიელ კრეიგმა განაცხადა, რომ ალბათ დადგა დრო, რომ ეს უკვდავი კინოგმირი შავკანიანმა მსახიობმა განასახიეროს. არ ვიცი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ ბარაკ ობამას ლეგენდარული „აგენტი 007"-ის როლს შესთავაზებენ თუ არა. ეს საქმე ალბათ არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ჰოლივუდის ლაბირინთებში გზის გამკვლევი უკვე ნაპოვნი ჰყავს და ამ მისიას მისი ერთი ახლადგამოჩეკილი „ნათესავი" შეასრულებს.



აშშ-ში არსებობს ასეთი ორგანიზაცია — „ახალი ინგლისის გენეალოგიის მკვლევართა ისტორიული საზოგადოება". ის ჯერ კიდევ 1845 წელს დაარსდა და ცნობილი პიროვნებების გენეოლოგიას იკვლევს. მათ მიერ მოპოვებული უტყუარი ცნობების მიხედვით, ბარაკ ობამა თურმე მეცხრე მუხლის ბიძაშვილად ერგება კინოვარსკვლავ ბრედ პიტს. მათი საერთო წინაპარი კი ვინმე ჯონ კასონი ყოფილა, რომელიც შორეულ 1718 წელს გარდაიცვალა კანადურ ქალაქ კვებეკში.

სამწუხაროა, რომ ანალოგიური დაწესებულება საქართველოში ან არ ფუნქციონირებს ან მისი კვლევების შედეგები ცნობილი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში მოულოდნელობა არ იქნებოდა, რომ თუნდაც ამ სტრიქონების ავტორი ერეკლე მეორისა ან სულხან საბა ორბელიანის შთამომავალი აღმოჩენილიყო.



ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ პოლიტიკოსების გზა იავარდით მოფენილი ნამდვილად არ არის. მრავალი ადამიანური პრობლემა მათაც გააჩნიათ და ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, სჯობია ისევ და ისევ უბრალო ობივატელებად დავრჩეთ. ისე საქართველოში მცხოვრებლებისათვის მთავარ ოცნებად მაინც ქვეყნის პარლამენტში მოხვედრა რჩება.

მაგრამ ქართველ დეპუტატებსაც არ ულხინთ და ამაში შემდეგი მაგალითიდანაც დარწმუნდებით. რამდენიმე წლის წინათ რაღაცაზე განერვიულებულმა ჩვენი პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა დარბაზში მყოფ საზოგადოებას ფსიქიკური გამოკვლევებისაკენ მოუწოდა. ამაზე ქალბატონი ელენე თევდორაძე აღშფოთდა და საპასუხო რეპლიკაც წამოისროლა, „ჩვენ აქ ყველანი უკვე გამოკვლევებულები ვართო".

რას იზამ, პარლამენტი ქვეყნის მმართველი ორგანოა და თუ იქ მოხვედრა და საქმიანობა გსურს, გარკვეული მსხვერპლიც უნდა გაიღო. ასე რომ, სანამ პოლიტიკოსობას გადაწყვეტდეთ, გირჩევთ რომ კარგად დაფიქრდეთ. გახსოვდეთ ისიც, რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი.

**სანტიაგო გაუჩო**

პოლემიკა



# ქაჯები კვლავ მოდიან?

**„საქართველოს რესპუბლიკის“ გასული პარასკევის ნომერში დაიბეჭდა ცნობილი ჟურნალისტის იოსებ ჭუმბურიძის წერილი — „ურჩობა სამშობლოსთვის, ანუ როგორი პრეზიდენტი იქნებოდა სალომე ზურაბიშვილი“? რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმ ზერელე მიდგომაში საქვეყნო საქმეებისადმი, ღრმად რომ არის გამჯდარი ნებისმიერ ჩვენგანში, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიცაა პოლიტიკოსის დიპლომატიური შეფასება.**

სამწუხაროდ, დღესაც კი, მიუხედავად ე.წ. დამოუკიდებლობის 23-წლიანი ისტორიისა, სახელმწიფო მოხელეთა შეფასება ხდება ზერელედ, არა ცოდნისა და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, არამედ გარეგნული იერ-სახით, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, წარმოშობის გათვალისწინებით.

ცხადია, ფასადს და წარმომავლობას პოლიტიკოსისთვის აქვს მნიშვნელობა, მაგრამ — მეორეხარისხოვანი. მთავარია, პოლიტიკოსის პოლიტიკური ალღო, განსწავლულობა, სიდარბაისლე, აღზრდილობა, გამოცდილება და სხვა მრავალი, რომელიც ზედმიწევნით კარგად არის ჩამოყალიბებული მანუს კანონებში - დიპლომატიისთვის გამწესებული პიროვნებისთვის.

ბატონი იოსებ ჭუმბურიძის „ჯილა“ არათუ ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, არამედ ისეა დაშორებული მისგან, როგორც ცა და დედამიწა. „სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური გამოცდილება, საერთაშორისო ცნობადობა და კონტაქტები დიდად წაადგებოდა... და ა.შ. და ა.შ.“, — წერს ბატონი იოსები — ცხადია ფასადიდან გამომდინარე და არა ინტერიერიდან.

რაც შეეხება ინტერიერს - გადაავლეთ თვალი მის დიპლომატიურ კარიერას და დაინახავთ, რომ დიპლომატიის ის წლები, რომელიც მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყებაში გაატარა, დიდი ვერაფერი წინსვლით იყო გამორჩეული — მესამე მდივანი აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანა ჩადში, საფრანგეთის საელჩოში და პარიზში საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების სექტორში.

და, ალბათ, ასე დაამთავრებდა თავის დიპლომატიურ მოღვაწეობას, რომ არა ფორტუნა და საფრანგეთის ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებები, ცხადია ნაცნობ-მეგობრების გამოჩენით. ვინაიდან „ჩაწყობა“ ყველგან მოდის, მათ შორის საფრანგეთშიც. ქალბატონმა სალომემ, მეორე სუნთქვით, დაიწყო მოღვაწეობა — დაანიშნინა რა თავი საფრანგეთის ელჩად საქართველოში.

„დაანიშნინას“ იმიტომ ვამბობ, რომ დაბალი დიპლომატიური რანგიდან ელჩობა, ერთობ ძნელი საქმეა, მაგრამ მან ეს მოახერხა წარმომავლობიდან (ქართველობიდან) გამომდინარე. ასე და ამრიგად, ირიბად, საქართველოს გამოყენებით, დაიწყო ქალბატონი ზურაბიშვილის ნამდვილი დიპლომატიური მოღვაწეობა.

ცოტა ხანს დაჰყო სალომემ საქართველოში საფრანგეთის ელჩად და ეს თანამდებობა პირველსავე შეთავაზებაზე მინისტრობაში გაცვალა. სალომეს „აღმომჩენი“ სააკაშვილი იყო, რომელსაც გაპრეზიდენტებამდე ჰქონდა მასთან ურთიერთობა.

სალომე და მისი მეუღლე ჯანრი კაშია (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), 1995 წლიდან მოყოლებული, ძალას არ იშურებდნენ იმისთვის, რომ სალომე საქართველოს საგარეო უწყებაში მინისტრის მოადგილედ მაინც დაენიშნათ. ამ თხოვნით მათ პარიზში, ოფიციალურ ვიზიტად მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძესაც მიმართეს, რომელმაც განუმარტა, რომ საფრანგეთის მოქალაქისთვის მსგავსი თანამდებობის მიღება შეუძლებელი იყო.

პასუხმა გაანაწყენა ზურაბიშვილი, რაც მოგვიანებით, მინისტრობის პირველსავე დღეებში გამოჩნდა, ჩიკვაიძის სავალალოდ. გამინისტრებულმა ქალბატონმა ერთის ხელის მოსმით, გაუფრთხილებლად გაათავისუფლა საზღვარგარეთის ქვეყნებში მომუშავე საქართველოს ელჩები, მათ შორის ჩიკვაიძეც. გათავისუფლებულებმა არც კი იცოდნენ, რომ გათავისუფლებული იყვნენ, ვიდრე მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებამ დელიკატურად არ განუცხადა მათ ამის შესახებ.

ახალმა მინისტრმა არ ინება არც ერთ გათავისუფლებულ ელჩთან შეხვედრა. უფრო მეტიც, სამინისტროშიც არ შეუშვა, რაც თავისთავად მიანიშნებს მის „ძვირფას“ ხასიათზე.

ზურაბიშვილი უფრო შორს წავიდა — ელჩ არსენიშვილის თავიდან მოშორებისთვის... გააუქმა საქართველოს საელჩო ავსტრიაში. საელჩოს გაუქმება, მასპინძელ მხარესთან შეუთანხმებლად, დიპლომატიური ნონსენსია. ზურაბიშვილის გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია ავსტრიაში, რამეთუ მსგავსი დემარში იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, ავსტრიას რომ საქართველოსთვის ომი გამოეცხადებინა.

ზურაბიშვილმა სამინისტროს კადრებიც „გაწმინდა“. ჩაანაცვლა რა ისინი თავისი და თავისი მეუღლის ახლობლებით, მეგობარ-ნათესავებით. ზურაბიშვილმა საფრანგეთში ელჩად განამწესა ვინმე ჯაფარიძე (ქალბატონი), რომელიც მანამდე საქართველოში ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური მუშაკი იყო. მისი მთავარი „დიპლომატიური“ გამოცდილება... მეუღლის შვილის დაქალობა იყო!!!

ზურაბიშვილის მსგავსი ამბიციური, ძალაუფლების უხეშად გამომყენებელი პიროვნება საშიშია საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის, ვინაიდან მან არ იცის სუბორდინაცია, არ იცის, მმართველობითი სისტემა, არ იცის დიპლომატია, რაც იცის, უკმეხი ლაპარაკი და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენაა.

მინისტრად ყოფნის დროს, მთავრობის სხდომაზე, რომელსაც სააკაშვილი უძღვებოდა, მან შენიშვნა მისცა პრემიერ-მინისტრ ჟვანიას, მის დაუკითხავად უცხოეთში, ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებისთვის. ზურაბიშვილის გამოსვლამ არა მარტო ჟვანია გამოიყვანა მოთმინებიდან, არამედ სააკაშვილიც. იმ სხდომაზე მიხვდნენ, რომ ზურაბიშვილის გამინისტრება სავალალო შეცდომა იყო.

საზოგადოებას არ დავიწყებია ზურაბიშვილის გაჯიქება და პარლამენტის გამოძახებაზე უარის თქმა. ამ ამბავმა დააპირისპირა პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძე და მინისტრი ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილისთვის ჩვეულებად იქცა ვიზიტის წინ მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყების იგნორირება.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღესაც მადლიერია ზურაბიშვილის, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გამო. არადა ეს საკითხი შევარდნაძის დროს, სტამბოლის კონფერენციაზე გადაწყდა. გარდა ამისა, ეს ის საკითხია, რომელიც მთავრობათა მეთაურების დონეზე წყდება და არა საგარეო მინისტრებისა... მინისტრი ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი პირია. გვინდა თუ არა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ჯარის გაყვანაში, უფრო ზუსტად, ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულ ხორცშესხმაში მთავარი სააკაშვილი იყო და არა ზურაბიშვილი.

დიპლომატიაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა სააკაშვილიც კი აიძულა გაენთავისუფლებინა ზურაბიშვილი, თანაც იმ დროს, როდესაც ის სალაღობო „ვიზიტით“ იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში. საკუთარ თავში დარწმუნებულმა ზურაბიშვილმა, საჯაროდ განაცხადა, რომ ეს ტყუილია — არ დაუჯერა პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელს, თან ისიც დაუმატა, რომ სააკაშვილს მისთვის არაფერი უთქვამს.

კარგა ხანს ელოდა ძალაუფლებაზე შეყვარებული, ნაცებთან ჩახუტებული ზურაბიშვილი სააკაშვილისგან თანამდებობის შეთავაზებას და როდესაც ვერ მიიღო, იპოდრომს მიაშურა ლოზუნგით — „ქაჯები კი არ მოდიან, არამედ მიდიან“...



სამინისტროს იმჟამინდელი თანამშრომლები ზურაბიშვილის მინისტრობის ხანას მძიმედ იხსენიებენ, მაგრამ ეს ფართო საზოგადოებამ არ იცის. რაც იცის, ისაა, რაც ბატონმა იოსებ ჭუმბურიძემ დაწერა. ამჯერად საქართველო ზურაბიშვილისგან მისმა ორმაგმა მოქალაქეობამ გადაარჩინა, მაგრამ ხვალ — ვინ და რა გადაარჩენს ამ ბედკრულ ქვეყანას?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# მთავარი კითხვა: ნუთუ შესაძლებელია, რომ პრობლემური ქვეყანა ერთ წელიწადში დადგეს ფეხზე?

**დიახ, ამბობს ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრის პოსტი დროებით სამუშაოდ მიაჩნია. სანამ გასული წლის ბოლოს ხელისუფლებაში მოვიდოდა, და მას შემდეგაც, ის მუდმივად იმეორებს, რომ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩება. და აი, ახლახან, EU-observer-თან ინტერვიუში, მან გადადგომის კონკრეტული ვადა დაასახელა — მას გადაწყვეტილი აქვს, ყველა დანაპირები შეასრულოს და ახალ წლამდე წავიდეს.**

ადრე წასვლის სტრატეგია, ალბათ, ივანიშვილმა იმისთვის აირჩია, რომ აჩვენოს — ძალაუფლება მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს და არ აპირებს მას ჩაეჭიდოს, როგორც ამას ზოგიერთი მისი წინამორბედი აკეთებდა. ეს შეიძლება კარგი მაგალითი იყოს ქართველი პოლიტიკოსებისთვის, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მთავარი საკითხი — შეძლებს კი ის დანაპირების შესრულებას?

**მოსაგვარებელი პრობლემების უზარმაზარ სიაში შედის ელიტური კორუფციის აღმოფხვრა, ეკონომიკის გაჯანსაღება, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და, სხვათა შორის, ნატოში ინტეგრაციაც.**

გასულ წელს საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას, ივანიშვილის კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ მოქალაქეებს სთხოვა, მილიარდერისთვის თავიანთი ოცნებების ნუსხა გადაეცათ, მაშინ ეს, ალბათ, ეფექტური საარჩევნო ტაქტიკა იყო, თუმცა, ახლა შეიძლება ნაწილობრივ სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლებისთვის ელვარება რამდენადმე დაკარგა.



**გამოკითხვები აჩვენებს, რომ სამუშაო ადგილები ქართველებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად რჩება, ეკონომიკა კი, სამთავრობო მონაცემების თანახმად, იმ სფეროდ, სადაც ივანიშვილის კაბინეტმა ოცნებები ვერ აახდინა.**

საქსტატის მონაცემებით, 2013 წლის პირველ ექვს თვეში ეკონომიკური ზრდა 0.8 პროცენტით შენელდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ხოლო დარეგისტრირებული ბიზნესსაწარმოების რაოდენობა 17 პროცენტით შემცირდა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, უმუშევრობა ისევ 15 პროცენტია, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაციით, შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი უმუშევარია. დასაქმებულების საშუალო შემოსავალი თვეში კი სულ 4433.76-ის ეკვივალენტია ლარებში.

**თავის მიღწევებს შორის ივანიშვილი ასახელებს იმას, რომ მთავრობა ნაკლებად ერევა მედიის საქმიანობაში (თუმცა, მისი ცოლი, ეკატერინე ხვედელიძე, ქვეყნის ერთ-ერთი ნაციონალური მაუწყებლის, ტვ 9-ის თანამფლობელია), წამების აღმოფხვრას ციხეებში და რუსეთის გადაწყვეტილებას ქართულ ღვინოზე, წყალსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ემბარგოს მოხსნის შესახებ. მისი მთავრობის კიდევ ერთ ნაბიჯს ზოგი მიესალმა, ზოგი კი აკრიტიკებს — ციხიდან გაათავისუფლეს ბევრი პატიმარი და მათ ადგილას ყოფილი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩასვეს.**

მაგრამ თუ ივანიშვილი თანამდებობას მანამდე დატოვებს, სანამ ქართველებს მის წინააღმდეგ გაღიზიანება დაუგროვდებათ (რაც მოხდა წინა ლიდერებთან დაკავშირებით), არსად ჩანს სხვა პოლიტიკური მესია, რომელსაც ისინი თავიანთ უზარმაზარ იმედებს დაუკავშირებდნენ. ივანიშვილმა საქართველოს შემდეგი პრეზიდენტის თანამდებობაზე, თავისი განათლების თვითდაჯერებული მინისტრი გიორგი მარგველაშვილი წამოაყენა. პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდმა ამისთვის გადანახული საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე დაასახელა — საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი იმ არამრავალრიცხოვან მაღალი რანგის წევრებს შორის, რომელიც არც ციხეში ზის, არც სამართლებრივ დევნას ელის და არც რეპუტაცია აქვს ბოლომდე შელახული.

**მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმის თანახმად, შემდეგი პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს უთმობს პირველი ვიოლინოს პოზიციას. ახალი მესიის, პრემიერ-მინისტრის გამოჩენამდე კი სულ 5 თვე რჩება, რადგან ის მანამდე უნდა გამოჩნდეს, ვიდრე ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი წავა.**

**გიორგი ლომსაძე,**
Eurasianet.org

**წერილი რედაქციას**

# ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო?..

**ეხმაურებიან „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი 31 ივლისის ნომრის პუბლიკაციას „მეპურეები გვატყუებენ და ამას არც მალავენ“**

**პატივცემულო რედაქცია, სწორედ სათაურში გამოტანილი ამ ფრთიანი გამონათქვამით შევაფასებდი თქვენი გაზეთის პუბლიკაციას „მეპურეები გვატყუებენ და ამას არც მალავენ“.**

წერილის ავტორის, ბატონ ზაზა ბილიხოძის დასკვნებს კატეგორიულად არ ვეთანხმები. რადგან მეპურეებს (ხაბაზებს) ქართველი ხალხისთვის არასოდეს არ უღალატიათ, იმის თქმაც, რომ ჩვენ მთავრობას ვღალატობთ, რბილად თუ ვიტყვით, მტკნარი სიცრუეა. **რა მოგებასა და რა ფასებზეა საუბარი, იმის ფონზე, როდესაც საქართველოში პურის ძირითადი ნედლეული — ფქვილი, 2007 წლიდან დაწყებული, უგუნური პოლიტიკის გამო უსაშველოდ გაძვირდა, ხოლო ენერგოშემცველები მეწარმეთათვის რეგიონში ყველაზე ძვირია?**

ამავე დროს, საქართველოში გადაკეტეს ფქვილის ბაზარი, ღმერთმა იცის, როგორი ხორბალი და რა ფასად შემოჰქონდათ, მეპურეებს კი არჩევანს არ უტოვებდნენ არც ფქვილში, არც მის ფასში და არც ხარისხში. თანაც, ეს კეთდებოდა თითქოსდა, ადგილობრივი გადამმუშავებელი მრეწველების ხელშეწყობის მიზნით.

ფაქტები კი ასეთია, — **უსაშველოდ გაძვირდა ფქვილი, გაკოტრდა უამრავი მეწარმე, ხოლო ქართული წისქვილების უმეტესობა აზერბაიჯანული გახდა.** სტატიის ავტორს „ალავერდს გადავულოცავდი“ და ვთხოვდი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იმდროინდელ ხელმძღვანელებს მოჰკითხოს, **რატომ წავიდნენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საწინააღმდეგოდ, რატომ გაქრა ქართული წისქვილები, რატომ არ გამოგვეხმაურნენ ქართველ პურის დამამზადებლებს, როდესაც ამის შესახებ ვახერხებდით და ხმას ვიღებდით?** პირადად მე ყოფილ მინისტრს კვეზერელს ვკითხე კიდეც, ვინ არის პასუხისმგებელი ამისთვისმეთქი. მრავლაგზის ოფიციალურად გამოვხატე ჩემი პოზიცია ტელევიზიით, რადიოთი თუ პრესით, მათ შორის თქვენი გაზეთითაც, მაგრამ...

რაც შეეხება შავი და დიაბეტური პურის წარმოებას, ბევრჯერ განვმარტე და კვლავ განვმარტავ, რომ პურის ძირითადი ნედლეული ფქვილია. ხოლო ჭვავის ფქვილი და შავი ფქვილი არ შემოდიოდა, რაც ბევრჯერ გვითქვამს, ამდენად, მას არც ვაწარმოებდით, **მართლის თქმა თუ დანაშაულია, უბრალოდ გაუგებარია!**



რაც შეეხება საკვები დანამატების მოხმარებას, რომელსაც ზოგიერთი საცხობი იყენებს, ეს ფორმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია მიღებული, მათ შორის, ჩვენშიც. უბრალოდ, ზოგიერთი მეწარმის დანაშაული, გნებავთ, შეცდომა დაარქვით, ის არის, რომ შესაბამისი პროდუქციის ეტიკეტზე უნდა იყოს აღნიშნული, რა დანამატია გამოყენებული. რაც შეეხება სტატიაში ნახსენებ მინარევებს ეს მომხმარებლისა და წამკითხველის გასაღიზიანებელი სიტყვებია და უმჯობესია, ყოველივეს თავის სახელი დაარქვათ.

უმჯობესია, ძირითადი აქცენტები გავაკეთოთ პრობლემების გადაწყვეტაზე, რაც ჩვენს დარგში თავზე საყრელია (ენერგოშემცველებისა და ნედლეულის არარეალური ფასები, თუნდაც ხარისხი) და მათ მოსაგვარებლად მთელი რიგი ღონისძიებებია განსახორციელებელი.

ძალიან მტკივნეულია თუნდაც ის, რომ საქართველოში არ არის საფუარის ქარხანა (სომხეთსა და აზერბაიჯანში ასეთი ქარხნები თურქული და ამერიკული ინვესტიციებით ამუშავდა), წისქვილებიც თითზე ჩამოსათვლელი დარჩა. აუცილებელია შესაბამისი ფაკულტეტების შემოღება და მცხობელების სწავლება, რადგანაც სულ ახალ-ახალი ინტენსიური მეთოდები ინერგება პურის ცხობაში და დანამატებს მინარევები არ უნდა დავარქვათ. ჩვენ კი ერთმანეთის ლანძღვაში ვატარებთ დროს და იმაში ვერ გავრკვეულვართ, რა განსხვავებაა მცხობელსა და ფქვილის დამამზადებელს შორის.

ამით უამრავ ადამიანს, ვინც შრომობს (მცხობელებს) შეურაცხყოფას ვაყენებთ.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,**
**თბილისის პურის მრეწველთა**
**კავშირის თავმჯდომარე.**

**P. S. მასალა ფრთიანი ფრაზით დავიწყე და კიდევ ერთი ანდაზით მინდა დავასრულო. მოყვარეს პირში უძრახეო, ნათქვამია. თქვენი გაზეთი, რომელსაც ძალიან ვაფასებ ობიექტურობის, სამართლიანობის, ყოველგვარი ნაკლისადმი შეურიგებლობისა თუ სხვა უამრავი დადებითი თვისებების გამო, რითაც, სამწუხაროდ, ბევრი სხვა ქართული გამოცემა ვერ დაიკვეხნის, ჩემი საყვარელი გაზეთია. ამიტომაც მომწონს იგი ასე და მისი მუდმივი მკითხველი ვარ, აგრეთვე — ავტორიც, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. ამიტომაც მივეცი თავს უფლება, რომ ამ რეპლიკით შეგხმიანებოდით. როგორც მოყვარესა და თანამოაზრეს.**

**იმედია, გაიზიარებთ ჩემს გულისტკივილს და არ მიწყენთ.**

**მ. დ.**

**სად არის სწორი პასუხი?**

# წინ, უწიგნურობისაკენ!

**საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ევროპის ორგანიზაციამ 140-მდე ქვეყნის სკოლებში გამოიკვლია მოსწავლეთა წიგნიერების დონე და ყველაზე უწიგნურად ჩვენი ქვეყნის მოსწავლეები დაასახელა. ისინი წაკითხულს ვერ გებულობენ, შინაარსი ვერ გამოაქვთ (ვაი, სირცხვილო!). წიგნიერების დონეს ამოწმებდნენ, როგორც დაბალ, ისე მაღალ კლასებში.**

ჩვენთვის, მოქალაქეთა ერთი ჯგუფისთვის, ეს შედეგი არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან დღესაც, ნებისმიერი მოქალაქე რომ შევიდეს ქვეყნის ნებისმიერ სკოლაში და ნებისმიერ ბავშვს შეეკითხოს — „ჩემო პატარავ, რატომ სწავლობ, ვინ გინდა რომ გამოხვიდე“, ყველა ბავშვის პასუხი ერთიდაიგივე იქნება: „მე მინდა ბევრი ფული ვიშოვნო“, „მე მინდა წარმატებული ვიყო“.

როცა ბავშვის მიზანი, მოტივაცია, ბევრი ფულის შოვნაა (და არა გამომუშავება), ის წიგნის კითხვაში დროს არ დახარჯავს.

**ქვეყანას ახსოვს როგორი ტრაბახით და ყიჟინით წარმართა ნაციონალების ხელისუფლებამ განათლების რეფორმა. ჩვენ უმაღლეს სასწავლებლების მისაღებად გამოცდებზე კორუფცია მოვსპეთო. როგორც მტკიცდება, ჯერ განათლება მოუსპიათ და მერე — კორუფცია!**

ჩვენი მოსწავლეების უწიგნურობის შესახებ განათლების ყოფილმა მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდით მდგომარეობა გამოსწორდებაო.

მასწავლებლებს რომ რეალურად უნდა გაეზარდოთ ხელფასი, ეს ყველამ იცის, მაგრამ მხოლოდ ხელფასის გაზრდა იქნება საკმარისი?

ბრძენს უთქვამს: **„იკითხე, არა იმისთვის, რომ უარყო ან უკუაგდო, არა იმისთვის, რომ ირწმუნო და უეჭველად გაიზიარო, არა იმისთვის, რომ საუბრისა და ენამჭევრობის უნარი შეიძინო, არამედ იმისთვის, რათა აწონდაწონო და განსაჯო“.**



რა აქვს ასაწონ-დასაწონი და განსასჯელი ჩვენი ქვეყნის მოსწავლეებს ან სტუდენტებს, რის აწონ-დაწონვა, განსჯა უნდა ასწავლონ მათ მასწავლებლებმა ან თუნდაც ლექტორებმა?

მოსწავლეებს დაბალი კლასებიდან ასწავლიან ინგლისურს და უნარ-ჩვევებს და ამით ისინი კონკურენტუნარიანები არიან ევროპისა და ამერიკის შრომით ბაზარზე. მათ ქირაობენ მოჯამაგირეებად, მსახურებად, ან ისინი ქურდობით და ძარცვით შოულობენ საარსებო და საჭირო ფულს. ვინც სამშობლოში რჩება, მას არწმუნებენ, რომ ჩამოვა უცხოელი ინვესტორი, ააშენებს ოფისებს, სახლებს, საწარმოებს და მას დაიქირავებს რაიმე დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად.

ასეთი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდას არ სჭირდება წიგნის კითხვა და წაკითხულის განსჯა, მით უმეტეს რომ, თურმე, მასწავლებელს უფლება არ ჰქონია მისცეს მოსწავლეს რაიმე მოთხრობის წაკითხვის დავალება და შემდეგ მოისმინოს მოსწავლის მონაყოლი წაკითხულის შესახებ.

თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ასეთ პოლიტიკას განათლებაში ჰქვია მიზანმიმართული მოქმედება უწიგნური ახალგაზრდობის ფორმირებისაკენ.!

ქართველი კაცის ნათქვამია — „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. დღევანდელი მოსწავლეების და სტუდენტების მშობლები, ბებიები და ბაბუები ჩვენ ვართ. იქნებ, ჩვენც მათ მსგავსად წაკითხულიდან, ცხოვრებაში ნანახიდან, განცდილიდან ვერაფერს ვგებულობთ? სწორი დასკვნები ვერ გამოგვაქვს ჩვენი უწიგნურობის გამო?

ქვეყანაში ძალიან ბევრს (იმედია, მთელ ერს არა) ჰგონია, რომ მხოლოდ პეტრე, ილია ჭავჭავაძის პეტრე იყო დამნაშავე იმ ორი ახალგაზრდის ჩამოხრჩობაში, ხოლო ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქენი სრულიად უდანაშაულონი ვართ უკანასკნელ წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებში!

**წინაპართა „ალმა ხნულს რომ თითქმის მუდამ დაღმა ვფარცხავთ“, ხომ არ არის ეს ჩვენი უწიგნურობის ბრალი?**

**სწორი პასუხი სად არის, თორემ... ყველა კითხვა ფიქრის ღირსია.**

**ეს შეკითხვები მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე...**

**ნუგზარ კოპაძე**

**ალიან-ჩალიანი**

## კანონიერი ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულია და ასეთად უნდა დარჩეს




**ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს მსჯავრდებულთა ერთი ნაწილის მოთხოვნის კომენტირებისას განუცხადა, რომლებსაც სისხლის სამართლის კოდექსიდან 223-ე მუხლის პირველი ნაწილის ამოღება სურს.**

**როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, მისთვის გასაგებია და ძალიან წუხს იმაზე, რომ ზოგიერთი პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებას ელოდა, თუმცა იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ კანონიერი ქურდობა და ქურდულ სამყაროსთან კავშირი სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა დარჩეს.**

**— ვინც სასჯელს იხდიან კანონიერი ქურდობისთვის, ან ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის უნდა მოიხადონ ის სასჯელი, რომელიც მათ სასამართლომ მიუსაჯა. ეს ინსტიტუტი ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას საქართველოში, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.**

## საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე გახდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ემზარ გოგუაძემ განუცხადა, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევას საბჭოს 9 წევრმა დაუჭირა მხარი.**

**— არჩევნებს საბჭოს 10 წევრი ესწრებოდა, საიდანაც ცხრამ ჩემს სასარგებლოდ მისცა ხმა. კენჭისყრა ფარული იყო. საბჭოს სხდომა კი სამი წევრი არ ესწრებოდა. კანონის მიხედვით, საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევას 8 ხმაც ყოფნიდა, — აღნიშნა გოგუაძემ.**

**მისივე თქმით, ახალი კანონის მიღების შემდეგ სამეურვეო საბჭოს ბევრი მოვალეობები დაეკისრა.**



**— სამეურვეო საბჭოზე ბევრი ფუნქციებია გადმოსული და ამიტომ დაძაბულ რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა. თუკი წარსულში სხდომები თვეში ერთხელ ან სამ კვირაში ერთხელ იმართებოდა, ახლა მოგვიწევს ყოველკვირეული ორშაბათის სხდომების ჩატარება, — აცხადებს ემზარ გოგუაძე.**

**სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯომარეს ლევან გახელაძეს უფლებამოსილების ვადა 1 სექტემბერს ეწურება.**

**ინტერპრესი**

# სტუდენტებისთვის მხარდაჭერა მაგთისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია

**ყოველი თეთრი, რომელიც მომავალი თაობის განათლებაში ჩაიდება, ყველაზე ჭკვიანური და მომგებიანი ინვესტიციაა. ამ საქმისთვის მიმართული ყველა პროექტი უკვე თავისთავად გულისხმობს წარმატებას, მოგებას. ეს აქსიომა კარგად გაუთავისებიათ მაგთიკომის მესვეურებს, რომლებიც სასიამოვნო ინიციატივებით გამოირჩევიან. მათი ინოვაციები, როგორც წესი, ეროვნულ საქმეს ემსახურებიან.**

ერთ-ერთი ასეთი იყო სტაჟირება მაგთის ოფისში, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ათმა წარჩინებულმა სტუდენტმა გაიარა. მათ ზაფხულის არდადეგების სამი კვირა ნაყოფიერად გაატარეს მაგთის ოფისში. ისინი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ასევე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსების საუკეთესო სტუდენტები არიან.

* * *

**მარიამ მკერვალი: „შეგვარჩიეს მაღალქულიანი სტუდენტები და სამკვირიანი სტაჟირება გავიარეთ. რასაც თეორიულად ვსწავლობდით, პრაქტიკულად ვნახეთ, რაც ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის. დავდიოდით სადგურებში, სხვადასხვა განყოფილებებში და ადგილზე ვეცნობდით ყველაფერს. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამიჩნდა სურვილი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩემი პროფესიით ვიმუშაო“.**

**მერი გოგოლაძე: ისე გამიხარდა, რომ ყველაზე მაღალქულიანი სტიპენდიანტები შეგვარჩიეს ფაკულტეტიდან... ასეთ ოფისში პრაქტიკის მიღებაზე ყველა სტუდენტი ოცნებობს. ძალიან კარგად მიგვიღეს, თავს შინაურულად ვგრძნობდით და გვიხაროდა აქ მოსვლა. გავეცანით პრაქტიკულ სამუშაოებს. მოგვცა ძალიან დიდი გამოცდილება და მივხვდით, თუ რა სასიამოვნო ყოფილა ჩვენი პროფესიით მუშაობა. დიდი სურვილი მაქვს, მომავალში ასეთ გარემოში დავსაქმდე“.**

განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობით მიზნით მაგთიმ არაერთი პროექტი განახორციელა. მათ შორისაა სტაჟირება, მაგთიკომის სტიპენდია, რომელიც ათივე სტაჟიორს დაენიშნა მთელი წლის განმავლობაში და არა მარტო მათ, მაგთი ეხმარება ტექნიკურ უნივერსიტეტს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვაში, ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.



როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი **ნინო სურგულაძე** ამბობს, **„მაგთიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ პასუხისმგებლობას. სტაჟირება — ეს იყო პროექტი, რომელიც მაგთიმ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განახორციელა სტიპენდიისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის პარალელურად. ვულოცავთ სტუდენტებს წარმატებულად გატარებულ ზაფხულს. მათ დიდი გამოცდილება მიიღეს ოპერირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში და საკუთარი თვალით ნახეს ის, რასაც თეორიულად სწავლობდნენ.**

**საგულისხმოა ისიც, რომ 14 თანამშრომელი ავიყვანეთ ცხელ ხაზზე სამუშაოდ რამდენიმე თვის წინათ. ისინი სწორედ იმ კურსდამთავრებულთა ბაზიდან ავიყვანეთ, რომელიც რექტორატმა მოგვაწოდა. ანუ გვაქვს ასეთი პრაქტიკა, რომ საუკეთესო კურსდამთავრებულებს მივანიჭოთ უპირატესობა. სტაჟირება მაგთიში შემდეგშიც განხორციელდება და შევეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ სტუდენტთა განათლებასა და დასაქმებაში“.**

სტაჟიორებს მაგთიმ სერტიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადასცა სათაო ოფისში გამართულ ღონისძიებაზე.

ქსელის ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **გივი მურჯიკნელი** ამბობს, რომ მისთვის, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელისთვის სასიამოვნო იყო სტუდენტებთან მუშაობა... **„მართლაც კარგი რამე განახორციელა მაგთიმ. საწარმოო პრაქტიკა მნიშვნელოვანი და საჭიროა იმ გაგებით, რომ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს. ისინი ეუფლებიან თანამედროვე სისტემების ინსტალაციასა და ექსპლოატაციის მეთოდებს. ამავე დროს კარგად ამჩნევენ იმ პერსპექტივას, მომავალში რა მიმართულებით უნდა განვითარდნენ. მათ აქვთ ჯერ კიდევ დრო იმისათვის, რომ გადაწყვიტონ მომავალი პროფესია.**

**მაგთი ლიდერი კომპანიაა, რომელიც მუდმივად ძიებაშია და ვითარდება. ნერგავს უახლეს ტექნოლოგიებს. ბუნებრივია, გვჭირდება კადრები ქსელის ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში და იმედს ახალ თაობაზე ვამყარებთ. 20 წელიწადია, ამ სფერომ მძაფრი განვითარება დაიწყო და უწყვეტად გრძელდება. როგორც წესი, საუნივერსიტეტო თეორიული სწავლება ჩამორჩება ხოლმე ტექნოლოგიების განვითარებას. ამდენად, სტუდენტებისთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რასაც მუშაობის პროცესში ხედავს. ისინი გაეცნენ ისეთ ტექნოლოგიებსაც კი, რომელიც ჯერ ექსპლოატაციაში შესული არც არის და გამოცდის პროცესშია. აქ ხდება მათი დანერგვა, რაც სტუდენტებისთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.**

**სასიამოვნო იყო ამ ბავშვებთან ურთიერთობა. მიხარია, რომ ჩემი კოლეგები გახდებიან მომავალში და ერთად ვითანამშრომლებთ“.**

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **ოთარ ზუმბურიძემ** ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, კარგი იქნება თუ სხვა კომპანიებიც მიბაძავენ მაგთის, **„მადლობა იმისთვის, რომ საშუალება მიეცათ სტუდენტებს ადგილზე გაცნობოდნენ მათ პროფესიას. განათლების სისტემა შეუძლებელია არსებობდეს სოციალური და კორპორატიული პასუხისმგებლობის გარეშე. სტუდენტებისთვის კარგი სტიმულია სტიპენდია და არა მარტო მათთვის, რადგან სხვებმაც იციან, თუ კარგად ისწავლიან, მათთაც აქვთ სტიპენდიის მიღების შანსი. წარმატებულ კომპანიაში პრაქტიკა სტუდენტს მომავლის პერსპექტივას უჩენს. მაგთი სათავისოდაც კარგ საქმეს აკეთებს, რადგან ისინი შეიძლება კომპანიას პროფესიონალად დაუბრუნდნენ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“.**




* * *

საქართველოში ბევრი წარმატებული კომპანიაა, რომლებიც ხშირად გამოხატავენ მხარდაჭერას სხვადასხვა სოციალური თვალსაზრისით. თუმცა, სტუდენტებისთვის ხელშეწყობა მაგთისთვის პრიორიტეტული გახდა. იციან, რომ ეს არ არის ერთჯერადად გაღებული თანხა, არამედ ის გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ჩაერთოს კორპორაცია განათლების სისტემის წარმართვაში. მაგთი ლიდერთა სათავეშია. აქ არ ეშლებათ რა დროს როგორ და ვისთვის უნდა გაიღონ თანხა! ამიტომაც არის მათი ყოველი გაკეთებული საქმე კარგი და სასარგებლო. აქვთ კიდეც პრეტენზია ხმამაღლა თქვან:

**„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“.**

**თეა მოსია**

---

**ალიან-ჩალიანი**

## დაცული ტერიტორიების დაზიანება-დანაგვიანება სოლიდურ ჯარიმებთან იქნება დაკავშირებული

**დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება და დაწესებული ჯარიმები იზრდება. ამასთან, ადმინისტრაციულ კოდექსს ორი მუხლი ემატება, რომელთაგან ერთი დაცული ტერიტორიის დანაგვიანებას ეხება, მეორე — ბუნების ძეგლის დაზიანებას და ასეთ ქმედებებზე ფულად პასუხისმგებლობას აწესებს. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე წარდგენილია. საკანონმდებლო ინიციატივა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა მოამზადა.**

**პროექტის თანახმად, დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაყრა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება თუ იქნება ჩადენილი ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.**

**გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების სამშენებლო ნარჩენებით, უვარგისი კონსტრუქციებით, ნივთებით, მიწისა და კლდოვანი ქანებით დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის - 150 ლარით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების — 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. თუკი იგივე ქმედება სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ტერიტორიაზე იქნება ჩადენილი, ეს ფიზიკურ პირებთან მიმართებაში 200-ლარიან, ხოლო ორგანიზაციების შემთხვევაში — 1 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.**

**დაცული ტერიტორიის რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით დანაგვიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით. კიდევ უფრო მკაცრია ჯარიმები ზემოთ აღნიშნული ქმედებების განმეორების შემთხვევაში.**

**რაც შეეხება ბუნების ძეგლის დაზიანებას, ამ მიმართულებით კანონში შემდეგი სანქცია იდება: ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ბუნების ძეგლის დაზიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას — 700 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას — 1000 ლარის ოდენობით.**

**გარდა ამისა, პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად, იზრდება ჯარიმები სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანებაზე, დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ- ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევაზე, ასევე სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ ნებისმიერი მოწყობილობის შეტანაზე. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღითა და ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებებით უკანონოდ შესვლის შემთხვევაში.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მედვედევს საქართველოს ახალი მთავრობის პრაგმატიზმისა სჯერა



**რუსეთის პრემიერ-მინისტრი საქართველოს ახალი მთავრობის, 2008 წლის ომისა და საქართველოს პრეზიდენტის შესახებ**

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ოპტიმისტურადაა განწყობილი რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობასთან დაკავშირებით. რუსეთის პრემიერის სიტყვებით, საქართველოს ხელმძღვანელობაში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით აღმოჩნდნენ ადამიანები „პრაგმატული პოზიციით“, რაც მედვედევის აზრით, არის იმის წინაპირობა, რომ „ძველისაკენ დაბრუნება არ იქნება“. ამის შესახებ მედვედევმა განაცხადა, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომის ხუთი წლისთავის კომენტარს აკეთებდა.**

**„თქვენ იცით, მე ამ თვალსაზრისით აბსოლუტური ოპტიმისტი ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ნორმალურად იქნება. ჩვენი ხალხები არც დავობდნენ. სამწუხაროდ, ეს კონფლიქტი, ხელს არ უწყობს ურთიერთგაგებას, მაგრამ ეს არაა ხალხების სიღრმისეული კონფლიქტი. ეს, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ვამბობ, არის შეცდომა, რომელიც გადაიზარდა დანაშაულში ქვეყნის ცალკეული ხელმძღვანელების მხრიდან. და ამჟამად, მართლაც, სიტუაცია რამდენადმე სხვაგვარია“,** — განაცხადა რუსეთის პრემიერმა ტელეარხ „რუსია ტუდეისთან“ ინტერვიუში.

**„ქვეყნის ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას იმ ცვლილებების შესაბამისად, რაც მოხდა პოლიტიკურ სისტემაში, ქვეყნის კონსტიტუციაში, უკავია უფრო მეტად პრაგმატული პოზიცია. ჩვენ ეს გვიხარია“,** — განმარტა მედვედევმა.

თავისი პრაგმატიზმის შესახებ რუსეთთან დაკავშირებით საუბრობენ საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რაც ისევ მათი სიტყვებით, არის ის, რომ განზრახული აქვთ, აღადგინონ ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობანი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, მოაწესრიგონ ის საკითხები, რომლებზეც მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ. მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილის მთავრობა და თავად ქართველი პრემიერი არაერთგზის აცხადებდნენ, რომ თბილისისთვის მიუღებელია რუსეთის პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, რომ საქართველო არ აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან სანამ სოხუმსა და ცხინვალში არ გააუქმებენ რუსეთის საელჩოებს.

### „დიპლომატიური შეცდომები“

**დიმიტრი მედვედევმა, თავის მხრივ, განაცხადა რუსეთის ფედერაციის მზადყოფნის შესახებ, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობანი საქართველოსთან, თუმცა გარკვეული პირობებით.**

**„ჩვენ მზად ვართ ამ ურთიერთობათა აღდგენისთვის გარკვეული პირობებით, ეს პირობები კი მარტივია — იმ ფაქტის აღიარება, რაც მოხდა. იქნებ, ეს იყოს უფრო რთული, მაგრამ, აკურატული გზა... მე დარწმუნებული ვარ, რომ ძველ პერიოდს ვერ დავუბრუნდებით. და ეს არის უკანასკნელი წლების ყველაზე სამწუხარო ფურცელი ჩვენს ურთიერთობებში. დარწმუნებული ვართ, მდგომარეობა შეიცვლება უკეთესობისკენ პოლიტიკური არენიდან სააკაშვილისა და ზოგიერთი მისი გუნდის წევრის გაქრობასთან ერთად“,** — აღნიშნა მან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ნაწილობრივ აღიარებს, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველომ „დაუშვა შეცდომები“. კომენტარებში მედვედევის სიტყვებზე ეს დაადასტურა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ.

**„ჩემი პოზიცია ასეთია, რომ 2008 წელს ჩვენ გავხდით აგრესიის მსხვერპლი, სამწუხაროდ და ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი მხრიდანაც გადაიდგა არასწორი ნაბიჯები და დაშვებული იქნა დრამატული შეცდომები“,** — განუცხადა აბაშიძემ 4 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტებს...

### „მათი საქმე“

**რუსეთის პრემიერის სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის ჩარევის „ძირითადი მიზანი იყო მოწინააღმდეგის განიარაღება იმ დონემდე, რომ მას შეეწყვიტა ადამიანების განადგურება“.**

**„ჩვენ თავდაპირველად არ ვაპირებდით რეჟიმის შეცვლას, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სააკაშვილი, გასაგები მიზეზებით, ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის იყო მიუღებელი, ხელის ჩამორთმევის ღირსიც კი არ იყო. და მიმაჩნია იგი სამხედრო დამნაშავედ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ხალხი უნდა გაერკვეს თავის მმართველებში“,** — განაცხადა მედვედევმა.

რაც შეეხება ცხინვალისა და სოხუმის მომავალ ურთიერთობებს თბილისთან, რუსეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღება ამასთან დაკავშირებით „დამოკიდებული იქნება იმ ხალხების ნებაზე, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ“.

**„ჩვენ გვინდოდა, რომ მათ ეცხოვრათ მშვიდობიანად. რა ფორმით განხორციელდება მათი ურთიერთობანი — ეს მათი საქმეა, ჩვენ ამ პროცესებზე გავლენას არ მოვახდენთ. მაგრამ ჩვენ რასაკვირველია, დავიცავთ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს“,** — განმარტა მედვედევმა.

### სააკაშვილის შესახებ

**როდესაც საქართველოს პრეზიდენტზე საუბრობდა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობანი 2008 წლისთვის, როდესაც მედვედევი გახდა პრეზიდენტი, „საუკეთესო პერიოდს არ განიცდიდა“ მას სჯეროდა მცდელობათა პერსპექტივისა ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში.** მან ისაუბრა სრულიად ნეიტრალურ საუბარზე სააკაშვილის ზარის დროს რუსეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი ოფიციალური მისვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, აგრეთვე 2 შეხვედრაზე დსთ-ს ქვეყნების ივნისის სამიტზე პეტერბურგში და ასტანაში 2008 წლის ივნისში.

**„აქამდე მახსოვს ეს მომენტი, თუ როგორ ვდგები, ვხვდები მას კაბინეტში და იგი შემოდის დიდი და კეთილი ღიმილით. მე მას ვუთხარი, რომ მინდა როგორმე შევეცადო მოვაწესრიგო ურთიერთობანი იმ თვალსაზრისით, როგორადაც მას ჩვენ აღვიქვამთ“,** — თქვა მედვედევმა.

### „იგივე პოლიტიკა“

**ექსპერტი უშიშროების საკითხებში თეონა აქუბარდია მიიჩნევს, რომ დიმიტრი მედვედევი ცდილობს, 2008 წლის ომის მთელი ბრალეულობა გადაიტანოს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე, და სვამს შეკითხვას: თუ რუსეთის ხელმძღვანელობისთვის პრობლემა სააკაშვილის პიროვნებაში იყო, რატომაა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და ახალი ხელისუფლების მიერ დიალოგის ინიცირების დროს, რუსეთი საპასუხოდ ქმნის დაბრკოლებებს მავთულხლართებით 300 მეტრის სიღრმეზე საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ.**

მიუხედავად ამისა, აქუბარდია მხარს უჭერს აზრს, რომ დაწყებული დიალოგი 2 ქვეყანას შორის მაინც არის პოზიტიური მოვლენა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამცირებს საბრძოლო მოქმედებათა განახლების შესაძლებლობას.

### „ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება“

**მედვედევმა ასევე ისაუბრა იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა ომის დაწყებას, თქვა, რომ „მიიღო ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება თავის ცხოვრებაში“, როდესაც გასცა ბრძანება გაეხსნათ ცეცხლი საქართველოს სამხედრო ძალების წინააღმდეგ. რუსეთის პრემიერის სიტყვებით, იგი „უკანასკნელ მომენტამდე“ იმედოვნებდა, რომ შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა სამხედრო ჩარევა, მაგრამ შემდეგ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელების მოხსენებებმა აიძულეს იგი, დაეწყოთ „სამხედრო ოპერაციები საქართველოს იძულებისთვის მშვიდობისაკენ“.** მედვედევის თანახმად, მან ეს გადაწყვეტილება მიიღო მაშინდელ პრემიერ ვლადიმერ პუტინთან შეთანხმების გარეშე, ვინც იმ დროს ჩინეთში ოლიმპიადაზე იმყოფებოდა. მედვედევმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა, ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში.

აღსანიშნავია, რომ მოვლენების ის ვერსია, რაც მედვედევმა გადმოსცა, არ ეთანხმება ვლადიმერ პუტინის ვერსიას, რომელმაც შარშან განაცხადა, რომ, როდესაც 2008 წელს პრემიერ-მინისტრი იყო მონაწილეობას ღებულობდა იმ ზომების განხილვაში, რაც რუსეთის ფედერაციას უნდა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ.

**„როდესაც პეკინში ვიყავი, ორჯერ დავურეკე მედვედევს და თავდაცვის მინისტრს 7 და 8 აგვისტოს!** — განაცხადა პუტინმა 2012 წლის 8 აგვისტოს სომხეთის პრეზიდენტთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე მოსკოვში.

მაშინ პუტინმა პირველად ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2008 წელს საქართველოსთან ომის დროს, რუსეთის ჯარები მოქმედებდნენ იმ გეგმის მიხედვით, რომლებიც დამუშავებული იყო აგვისტოს სამხედრო დაპირისპირების დაწყებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, და რომ ამ გეგმის შესაბამისად, რუსეთის სამხედროები წვრთნიდნენ ოს მეამბოხეებს.

### „სიმბოლური დათბობა“

**გიორგი მჭედლიშვილი ლონდონში საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტიდან მიიჩნევს, რომ 2 სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციამდე „ჯერ კიდევ ძალიან შორია“, და რომ ამჟამინდელი „დათბობა“ ჯერჯერობით უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რასაც ძნელად რომ შეიძლება ნორმალიზაცია ვუწოდოთ.** პოლიტოლოგმა ამასთან დაკავშირებით გაიხსენა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის გუნდის მოსვლა 2004 წლის დასაწყისში ასევე აღინიშნება ახალი იმედებით ურთიერთობათა გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, და რომ ეს იმედები „საბოლოოდ დაიმსხვრა“ 2004 წლის ივლის-აგვისტოში. თანაც, მიაჩნია მჭედლიშვილს, მაშინ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელები დგამდნენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც „ზრდიდნენ დაძაბულობის გრადუსებს“.

**„ამიტომ მე უფრო ფრთხილად მოვეკიდებოდი დღევანდელ დათბობას და მხარდამჭერ კომენტარებს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ამ რიტორიკის უკან არ არის არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი“,** — ასკვნის ექსპერტი.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ში რელსებს ასცდა მატარებელი სახიფათო ქიმიკატებით**

შემადგენლობის 76 ვაგონიდან 26 ასცდა რელსებს ქალაქ ბატონ-რუჟის რაიონში. სულ ცოტა 2 ვაგონიდან გამოჟონა ქიმიურმა ნივთიერებამ. ხიფათის თავიდან აცილების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ახლო-მახლო მდებარე 100 სახლის მცხოვრებთა ევაკუაცია განახორციელა.

* * *

**„დამუხრუჭება“ სულ უფრო და უფრო რთული ხდება: სნოუდენის გამო, ალბათ, მოუწევთ ობამას რუსეთში ყოფნის პროგრამის შეცვლა**




ჯერჯერობით ვაშინგტონი ოფიციალურად არ აცხადებს რუსეთ-ამერიკის უმაღლეს წრეებში შეხვედრის გაუქმების , არც დიდი ოცეულის სამიტზე ვიზიტის პროგრამის შეცვლის შესახებ. კრემლთან დაახლოებულმა წყარომ გვაცნობა: პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ფიქრობენ იმის შესახებ, რომ შეხვედრა მოსკოვში გაიმართება, მისთვის მზადება მიმდინარეობს.

* * *

**ამერიკელი მძღოლი, რომელმაც „კარმაგედონი“ მოაწყო, თავად ჩაბარდა. თვითმხილველები: „ის სისხლს ეძებდა“**



ეჭვმიტანილი — ვინმე ნათან ლუი კემპბელი — დანაშაულის ადგილიდან მიიმალა, 2 საათის შემდეგ თავად გამოცხადდა პოლიციაში სადაც აიყვანეს იგი გამოძიების დამთავრებამდე, მას ამოწმებენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე. თვითმხილველები საუბრობენ, რომ მძღოლი, რომელიც სანაპიროზე „თელავდა ხალხს“, მოქმედებდა შეგნებულად.

* * *

**ნიუ-იორკში პოლიციელებმა დახვრიტეს შეიარაღებული მოზარდი**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, პოლიციის 2 თანამშრომელი ბრონქსის ქუჩებში აწარმოებდა პატრულირებას, მათ გაიგონეს სროლის ხმა. შემდეგ დაინახეს, თუ ახალგაზრდა კაცი პისტოლეტით ხელში როგორ მისდევდა მამაკაცს. წესრიგის დამცველებმა უბრძანეს სავარაუდო დამნაშავეს დაეშვა იარაღი, მაგრამ მან პისტოლეტი მათ მიუშვირა. მაშინ ერთ-ერთმა პოლიციელმა გახსნა ცეცხლი.



◉ ვაი ასეთსა ყოფასა...

# საარსებო მინიმუმი — 150 თუ 250 ლარი?

**საარსებო მინიმუმის სწორად დაანგარიშება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. დღესდღეობით ბევრი აცხადებს, რომ ზრდასრული მამაკაცის საარსებო მინიმუმი არ უნდა ფასდებოდეს 150 ლარად, რადგან ეს არასაკმარისია ერთი ადამიანის არსებობისთვის. უფრო მეტიც, არსებული კრიტერიუმები ჯერ კიდევ 1996 წელს არის შემუშავებული და 20 წლის განმავლობაში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.**

**საარსებო მინიმუმის თემატიკა პოლიტიკოსებმაც აიტაცეს და კილოკალორიების 2500-მდე გაზრდა მოითხოვეს, რაც მთლიანობაში, სხვა პარამეტრებთან ერთად, საარსებო მინიმუმს 250-ლარიან მაჩვენებლამდე გაზრდის.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ვაჟა ბერიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით ამ ეტაპზე საქართველოში მიღებულია საერთო უნივერსალური მიდგომა. აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმი ჯამში 150 ლარი გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი აპრობირებულია ბევრ სხვა ქვეყანაში და გარკვეულ რეალურ შედეგსაც იძლევა, მაინც რეალურად არ ასახავს საარსებო მინიმუმის დონეს.

ამდენად, ექსპერტი ფიქრობს, რომ სხვანაირად გადათვლის პირობებში, როდესაც უფრო მეტი ელემენტები იქნება გათვალისწინებული და კვების პროდუქტების გარდა, სხვა კომპონენტებიც შევა საარსებო მინიმუმის დათვლისას, საქართველოს შემთხვევაში ბევრად უფრო მაღალ ნიშნულს მივიღებთ. ეს მაღალი ნიშნული კი სადღაც 250-270 ლარის ფარგლებში უნდა იყოს.

**„სხვათა შორის, როდესაც „ქართული ოცნება" და მისი ლიდერი ხელისუფლებაში მოდიოდა, იგი დაპირდა საზოგადოებას, რომ გადახედავდა საარსებო მინუმუმის განსაზღვრის პრინციპს და სხვა უფრო რეალურ მაჩვენებელს მიიღებდა. თუმცა, იქვე იყო აღნიშნული, რომ სადღეისო მეთოდიკით, ამ საარსებო მინიმუმს ავიღებთ ორიენტირად და, როდესაც ეტაპობრივად გავზრდით პენსიას, ამის შემდეგ გადავითვლით ახალი მეთოდიკის საშუალებით და დავადგენთ რეალურ მაჩვენებელს. პრინციპში, რეალურად საარსებო მინიმუმი მეტია, ვიდრე დღეს არის. მართალია, სტატისტიკური უწყება აწარმოებს ამ მინიმუმის დათვლას, მაგრამ ჩვენ უნდა მოვუწოდოთ „ქართული ოცნების" მთავრობას, უზრუნველყოს საქსტატის რეალური დამოუკიდებლობა",** — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

მანვე განმარტა, რომ სხვა ქვეყნებში საარსებო მინიმუმს ითვლიან ფასებისა და მომსახურებების რეალური მონაცემების საფუძველზე, რაც კონკრეტულ ქვეყანაში არსებობს. ამდენად, ამ მხრივ ყველა ქვეყნის მაჩვენებელი განსხვავდება. ამიტომ ის, რომ ჩვენი საარსებო მი-



ნიმუმი გადავიყვანოთ ისეთ მახასიათებელში, როგორიცაა სხვა ქვეყნის ვალუტის, დოლარის ან ევროს მიმართება, შედეგს არ მოგვცემს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **იოსებ არჩვაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოში საშუალო ევროპულ დონეზე 2,5-ჯერ უფრო დაბალი ფასებია ენერგომატარებლებზე, ბუნებრივ აირზე და ელექტროენერგიაზე. ასევე, საარსებო მინიმუმის დაანგარიშებისას გათვალისწინებულია სხვა სამომხმარებლო პარამეტრები, ნიუანსები, კულტურა და სხვა. იოსებ არჩვაძე ადასტურებს, რომ საარსებო მინიმუმისთვის 150 ლარი, რა თქმა უნდა, ძალიან დაბალია, მაგრამ მეორე საკითხია, რომ ჩვენთან საარსებო მინიმუმს ვანიჭებთ იმაზე მეტ დატვირთვას, ვიდრე მას ეს შეუძლია.

**„აშშ-ში სულ სხვა დონეა, დაახლოებით 22 ათასი დოლარის ფარგლებშია საშუალო ოთხსულიან ოჯახზე თანხები და ამ ზღვარს მიღმა, მოსახლეობის თითქმის 14 % ცხოვრობს. ანალოგიური მდგომარეობაა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, იქაც განსხვავებული საარსებო მინიმუმია, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ ავიღოთ ევროპული ან ამერიკული საშუალო მსოფლიო სტანდარტები, არ იქნება სწორი, რადგან ჩვენთან ფასების დონე დაბალია და ეკონომიკური მდგომარეობაც შესაბამისად ჩამორჩება საშუალო მსოფლიო ფასებს",** — განმარტავს იოსებ არჩვაძე.

უნდა იყოს თუ არა საარსებო მინიმუმი 250 ლარი, ექსპერტის თქმით, ეს დამოკიდებულია ფასების საერთო დონეზე და სამომხმარებლო კულტურაზე. მაგალითად, ის, რაც ადრე ითვლებოდა ფუფუნების საგნად და გამორჩეული დატვირთვის მქონე იყო, დღეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ელემენტია, საუბარია თუნდაც მობილურ ტელეფონზე. დღეს მობილური ტელეფონი უკვე დაბალშემოსავლიანი ოჯახის ისეთივე ატრიბუტია, როგორც — ავტოკალამი და რვეული.

ამდენად, თანდათანობით სამომხმარებლო არეალისა და კულტურის გაფართოების კვალობაზე, იმის მომსწრენი ვიქნებით, რომ ღირებულებითად გაიზრდება ჩვენი საარსებო მინიმუმი. თუ რამდენ ხანში მოხდება დაახლოება მსოფლიო ან ევროპულ დონესთან, ამაზე საუბარი ამ ეტაპზე ზედმეტია. თუმცა, რაც დღეს გვაქვს და, რასაც სტატისტიკის სამსახური ანგარიშობს, კრიტიკას ვერ უძლებს.

**„საარსებო მინიმუმის სასურსათო და არასასურსათო მაჩვენებლებს შორის პროპორციები უნდა შეიცვალოს. დღესდღეობით ეს პროპორცია არის სადღაც 70-30-ზე, აქედან 70 სურსათზე მოდის და 30- ყველა დანარჩენზე, ეს იქნება არასასურსათო საქონელი, მომსახურება, ტრანსპორტი და ა.შ. ამიტომ, თუ პირობითად ავიღებთ პროპორციებს 50/50-ზე, თვით სასურსათო ნაწილის კომპონენტის უცვლელობის პირობებშიც კი, მივაღწევთ იმას, რომ საარსებო მინიმუმი გაიზრდება 70-80 ლარით. ეს კი ახლოსაა 250-ლარიან მაჩვენებელთან. სხვათა შორის, დღევანდელი რეალობა არც ისე შორსაა ამ პარამეტრთან",** — ასკვნის იოსებ არჩვაძე.

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ მოულოდნელი რაკურსი

# აზერბაიჯანი არავის ინდობს!

## *მაყვალა გონაშვილს, ტურაშვილი და ხვედელიძეც დაემატა*

**3 აგვისტოს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა იმ პირთა სია, რომლებიც აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე — მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის უნებართვოდ იმყოფებოდნენ.**

**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სააგენტოს ინფორმაციით, 335 ადამიანი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა.**

სია 335 ადამიანისგან შედგება, მათ შორის არიან ქართველი მწერლები: დათო ტურაშვილი, ბესო ხვედელიძე და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი. სიაში ასევე არიან პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სერგეი მარკედონოვი, ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი ბარონესა ქეროლაინ კოქსი, რუსეთის დუმის წევრი მაქსიმ მისჩენკო, დსთ-ს საკითხებში რუსეთის დუმის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბერლინის ევროპული აკადემიის დირექტორი, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წევრი ფრანსუა როშებლოინი. სიაში ასევე მოხვდნენ იტალიელი მომღერალი ალ ბანო, სოპრანო მონსერატ კაბალიე და ევროკავშირის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები.




მწერალი დათო ტურაშვილი ამბობს, რომ მისთვის აზერბაიჯანის სახელმწიფოს ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი და გაუგებარია.

**„აზერბაიჯანი არის ქვეყანა, რომელმაც 1918 წელს პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა არგენტინასთან ერთად და მე მაქსიმალურად ვთვლი, რომ მოვალე ვარ ამ ქვეყნის, ხალხის, კულტურის, ლიტერატურის მიმართ. უამრავ პროექტში ვარ ჩართული, რაც გვაკავშირებს და დაგვაკავშირებს აზერბაიჯანთან, ამიტომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელია ეს, მართლაც დაუჯერებელია, იმიტომ, რომ „პერსონა ნონ-გრატად" სახელმწიფო აცხადებს მისთვის არასასურველ ადამიანს. ჩემზე სასურველი და ჩემზე დიდი მეგობარი საქართველოში კი არა, შეიძლება ვერსად ვერ მოძებნოს აზერბაიჯანმა. ამიტომ ძალიან გაკვირვებული ვარ. მე ვარ მათი მშვენიერი ლიტერატურის მთავარი პროპაგანდისტი",** — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

იგი დახლოებით 3 წლის წინ იმყოფებოდა მთიან ყარაბაღში ბესო ხვედელიძესთან ერთად.

**„ეს იყო ინგლისური პროექტი, საერთო კავკასიური პროექტი, რომელიც დაიწყო ბაქოში, და შემდეგ წავედით მთიან ყარაბაღში. უცნაური და ალოგიკური ისაა, რომ ყარაბაღში ჩავიტანეთ აზერბაიჯანელი მწერლების და პოეტების ლიტერატურა, მათი პოზიცია, რომელიც ჩემი ხელით დავარიგე. პრინციპში აზერბაიჯანისთვის სასიკეთო საქმეზე ვიყავი და გაუგებარია ის, რაც მოხდა",** — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

**ნატა ნიბლაძე**

◉ ალიან-ჩალიანი

# უქმე დღეებში ვაკის გამგეობა გაძარცვეს

**ვაკის რაიონის გამგეობიდან მძარცველებმა კომპიუტერი და ფოტოაპარატი წაიღეს. ამ დრომდე უცნობია თუ როდის და როგორ მოახერხეს მძარცველებმა გამგეობაში შესვლა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" გამგებელმა ბაჩო დოლიძემ განუცხადა, ძარცვა სავარაუდოდ, შაბათ-კვირას მოხდა. შენობის მეორე სართულზე გატეხილია რამდენიმე სამუშაო ოთახი. ამასთან გამგეობას კვირას ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, თუმცა გამგებლის განცხადებით, სათვალთვალო კამერები გარკვეული დროის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდების გარეშეც მუშაობს.**

**—წაღებულია რამდენიმე ნივთი, თუმცა გამოძიების დასრულების შემდეგ ჩვენ ზუსტად გვეცოდინება ნივთების რაოდენობა. ამ ეტაპზე საუბარია კომპიუტერსა და ფოტოაპარატზე. სანამ შესაბამისი სამსახურები არ დაასრულებენ მუშაობას ნაადრევია კონკრეტული დასკვნების გამოტანა. კამერებზე რაც არის აღბეჭდილი ამოიღებენ და შემდეგ გვეცოდინება უფრო ნათლად, რასთან გვაქვს საქმე, — განაცხადა დოლიძემ.**

**ინტერპრესი**

◉ ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● მომეცით 50 კობა და რესპუბლიკელებს გადავატრიალებო! — განაცხადა არქიმედემ.

● იცით რა მაოცებს? მართლმსაჯულება თუ პროკურატურა გასაგებია ვერ მუშაობს, თუმცა სრულიად საკმარისია სტუდია „მონიტორისა" და ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟის" ჟურნალისტური გამოძიების მიერ მოძიებულ მასალებზე თამამად გასამართლდეს კრიმინალური ნაციონალური რეჟიმი.




● აბა ჩქარა წააშველეთ ხელი, აიყვანეთ ეშაფოტზე ერი.

● სასწრაფოდ მიეცით პასუხისგებაში და დააკავეთ ყველა ის გამომძიებელი და პროკურორი, რომლებმაც ეს უდანაშაულო არსება, ბაჩო ახალაია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა!

● წარმოიდგინეთ რა რეალობაა იქ, სადაცაა საგანელიძე, იმერლიშვილი, ქუცნაშვილი, ძიძიგური, ყეინიშვილი, დარსიევი, პოლოსიანი...

— ოცნებაა!

● კახა კუკავას ვურჩევ ლელა კაკულიობას თავი დაანებოს და ცოტა დაუკვირდეს და ისე ილაპარაკოს ირაკლი ალასანიაზე. ყველას და მათ შორის კახასაც გულზე აწევს ირაკლი ალასანიას წარმატება და ბოლმისგან ათას სისულელეს ათქმევინებს ხოლმე...

თურმე ნუ იტყვით და ალასანია, უსუფაშვილი და ბაქრაძე კოალიციას შექმნიან...

● მაგ სიმართლით იარე პოლიტიკურ მწვერვალამდე.

● კახა, შენს ზოგიერთ გამონათქვამას რომ ვკითხულობ, ვხვდები, რატომაც არ გაგიკარა ბიძინა ივანიშვილმა.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

ძიუდო

# ათი ჯილდო და გუნდური პირველი




**ბერლინში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც 31 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. საქართველოს ნაკრების წევრებმა გერმანიის დედაქალაქში 2 ოქროს, 3 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს ჯილდო და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.** გია გუგავას შეგირდებმა ქომაგებს ბერლინში ორი ქართული ფინალიც აჩუქეს: 90 კილოგრამი წონითი კატეგორიის გადამწყვეტ პაექრობაში ბექა ღვინიაშვილმა, რომელმაც ფინალამდე უნგრელი ლასლო რაბაი, თურქი ოგუზან ეფემგილა, აზერბაიჯანელი ფირუდინ დადაშოვი და ფინელი სამული ვიიტანენი დაამარცხა, თანაგუნდელ ლაშა ტაველურს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარმატებას მიაღწია მძიმე წონაში გიორგი ზაქარიაძემ: ზედიზედ დაჯაბნა ბრაზილიელი რუან სილვა, ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი რუსეთის ნაკრების წევრი ანტონ კრივობოკოვი, გერმანელი ბენჟამინ ბუიზგარნი და როსტომ ხახალეიშვილი, ხოლო ფინალში ლევან მატიაშვილს ერთი გაფრთხილებით სძლია და ოქროს მედალი დაიმსახურა. ამავე წონაში მესამე იყო ხახალეიშვილი. 81 კილოში უშანგი მარგიანს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა დააკლდა. გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ქართველმა ფალავანმა რვაწუთნახევარში ხუთი პაექრობა იპონით მოიგო. ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ლევან გუგავა (73 კგ), 100 კილოში გურამ თუშიშვილი და თორნიკე ოთინაშვილი ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

| | | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველო | 2 | 3 | 5 |
| 2 | გერმანია | 1 | 1 | 1 |
| 3 | რუსეთი | 1 | 0 | 3 |
| 4 | აზერბაიჯანი | 1 | 0 | 2 |
| 5 | რუმინეთი | 1 | 0 | 1 |
| 6 | ბრიტანეთი | 1 | 0 | 0 |
| 7 | თურქეთი | 1 | 0 | 0 |

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# მელიამ ბრინჯაოს ხანიდან გამოგვიყვანა

**ქართველ მოჭადრაკეებს ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატებზე აქამდე მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი (2000 წ. — მაია ჩიბურდანიძე, 2001 - ქეთევან არახამია) ჰქონდათ მოპოვებული.** სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში, სადაც გასულ უქმეებზე დასრულდა კონტინენტის მე-14 ინდივიდუალური პირველობა, ბოლო ტურის წინ სამიდან ერთბაშად ორი მედლის აღების შანსს ვინარჩუნებდით, ოღონდ ყველაფერი მხოლოდ ჩვენებურთა შეხვედრებზე არ იყო




დამოკიდებული. გადამწყვეტი მაინც სალომე მელიას და პოლონელი მონიკა სოჩკოს, 19 წლის მერი არაბიძისა და ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) პაექრობები იყო, რადგან ჩვენებურებს, რომლებიც ორივე პარტიაში შავი ფიგურებით თამაშობდნენ, სხვებზე უკეთესი კოეფიციენტები ჰქონდათ. არაბიძემ შუა თამაშში პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მისი რეალიზებისთვის გამოცდილება არ ეყო და მეტოქეს დაუზავდა, მელიამ კი პირიქით — მხედრების დაბოლოებაში უარესი პოზიცია მიიღო, მეტოქეს ზედმეტი პაიკი ჰყავდა, თუმცა 150 სვლის განმავლობაში სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და ყაიმზე შეუთანხმდა ქართველ დიდოსტატს. ამ ნახევარმა ქულამ სალომეს ვერცხლის მედალი მოუტანა: ხუთი მოგება და ექვსი ყაიმი — ასეთი შედეგით დაასრულა მან ჩემპიონატი და 11 შესაძლებლიდან 8 ქულას მოუყარა თავი (რეიტინგი 25 პუნქტით გაიმდიდრა), ანუ იმდენივეს, რამდენსაც ლილით მკრტიჩიანმა (სომხეთი), 2011 წლის ევროპის ჩემპიონმა ვიქტორია ჩმილიტემ (ლიტვა), მსოფლიოს და 2004 წლის ევროპის ჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა, ბელა ხოტენაშვილმა და მონიკა სოჩკომ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა სხვებს. მე-3 ადგილი სომეხმა ლილით მკრტიჩიანმა დაიკავა, ხოლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 9 ქულით ჰოანგ თან ჩანგი (უნგრეთი) ავიდა. იგი წარმოშობით ვიეტნამელია, 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი, 2000 წელს აზიის ქალთა ჩემპიონატი მოიგო. 23 წელიწადია, მშობლებთან ერთად ბუდაპეშტში ცხოვრობს, 2006 წლიდან უნგრეთის მოქალაქეა.

ბელა ხოტენაშვილმაც, როგორც აღვნიშნეთ, 8 ქულა მოაგროვა (+5,2 პუნქტი), თუმცა საბოლოოდ მხოლოდ მე-6 ადგილი ერგო. 7,5 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა მერი არაბიძემ (სარეიტინგო 46,7). დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: 17. ლელა ჯავახიშვილი — 7,5 (-2,1), 26. ნანა ძაგნიძე — 7 (-13,2), 35. ნინო ხურციძე — 6,5 (-1,3), 50. ნინო ბაციაშვილი — 6,5 (-7,2), 54. მაკა ფურცელაძე — 6 (19,2), 55. მაია ლომინეიშვილი — 6 (10,5), 68. მირანდა მიქაძე — 6 (-14,9), 70. სოფიო ნიკოლაძე — 6 (10,6), 79. სოფიო გვეტაძე — 5,5 (-9,9), 122. ანა გავაშელი — 4,5 (-15,9), 129. მადონა ბოკუჩავა — 4,5 (-14,7).

**აქვე ერთი საინტერესო ფაქტიც გვინდა გაუწყოთ:** ხუთი შვილის დედა, საერთაშორისო ოსტატი სოფიო ნიკოლაძე დიდი ხანია, ჭადრაკს აქტიურად აღარ თამაშობს, ხანდახან აქა-იქ თუ გაიელვებს ხოლმე. ბელგრადშიც საკუთარი სიამოვნებისთვის გაემგზავრა, იქ კი შავი ფიგურებით ხუთიდან ხუთივე პარტია მოიგო და ევროპის ჩემპიონატის რეკორდი (და არა მარტო მეთოთხმეტისა) დაამყარა, თუმცა ანტირეკორდიც ზედ მიაყოლა — თეთრებით 6 შეხვედრიდან 5 წააგო და მხოლოდ ერთხელ მიაღწია წარმატებას.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარცხნიდან — სალომე მელია, ჰოანგ თან ჩანგი, ლილით მკრტიჩიანი.**

# ქართველმა პოლიციელმა-ძიუდოისტებმა 3 ოქროს მედალი მოიპოვეს

**„მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ქალაქ ბელფასტში, „შანკილის“ სპორტულ დარბაზში ქართველმა პოლიციელმა-ძიუდოისტებმა დაძაბული შეხვედრები გამართეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 81 კგ წონით კატეგორიაში ნოდარ მჭედლიშვილმა ფინალური ორთაბრძოლა რუმინელ ძიუდოისტთან წარმატებით დაასრულა და პირველ ადგილზე გავიდა.**

90 კგ წონით კატეგორიაში ზაზა გულაშვილი ფინალში რუს ძიუდოისტს შეხვდა. ბრძოლა ქართველის გამარჯვებით დასრულდა და მანაც ოქროს მედალი მოიპოვა.

რაც შეეხება 100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ბოლოთაშვილს, მან ფინალში გერმანელი სპორტსმენის დამარცხება შეძლო და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.



სადღეისოდ ოლიმპიადაზე წარგზავნილ ჩვენს 16 სპორტსმენს 4 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული. ისინი სპორტის 7 სახეობაში ასპარეზობენ და იმედოვნებენ, რომ ძიუდოსა და ცურვაში მიღწეულ წარმატებას გააუმჯობესებენ და ოქროს მედლების მოპოვებას კიდევ შეძლებენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

ჭიდაობა

# სომხური ალაფი

**უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წლეულს, 16-22 სექტემბერს, მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით სომხეთს ეწვია და ვანაძორში მსოფლიოს ჩემპიონ სტეპან სარგისიანის სახელობის ტურნირში იასპარეზა. ქართველებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი და გუნდური მე-2 ადგილი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ედიშერაშვილი (55) და გიორგი საკანდელიძე (120), ფინალური პაექრობა დათმო




დავით მარსაგიშვილმა (84) და მე-2 ადგილს დასჯერდა, ხოლო ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), ლევან ქელეხსაშვილი (66), გიორგი სანოძე (74), ზურაბ ახობაძე (96) და დავით მოძმანაშვილი (120) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

**გივი გაგუა**

ასეც ხდება

# ჰალკი სხვის მაგიერ გააძევეს




**უცნაური შემთხვევა მოხდა რუსეთის ჩემპიონატის მე-4 ტურის „ვოლგა“ — „ზენიტის“ მატჩში (1:3). 27-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, არბიტრმა ევგენი ტურბინმა პეტერბურგელ ჰალკს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა, რადგან მიიჩნია, რომ ბრაზილიელმა საჯარიმო დარტყმა მსაჯის სასტვენამდე შეასრულა.** თუმცა, ვიდეოგამეორებაზე ჩანს, რომ საჯარიმო რომან შიროკოვმა დაარტყა. ამ ეპიზოდამდე 3 წუთით ადრე ტურბინმა ჰალკი მასთან შეკამათებისთვის პირველად გააფრთხილა. აღშფოთებული ჰალკი არბიტრს დაახლოებით 6 წუთს ეკამათებოდა, თუმცა მოედნის დატოვება მაინც მოუხდა.

**გიორგი შოთაძე**

შეუცნობელი თუ?..

# კალათბურთელი და უცხოპლანეტელები

**ამერიკელი კალათბურთელი ბერონ დევისი, რომელიც ნბა-ში მოასპარეზე „ნიუ-იორკ ნიქსის“ მცველია, ირწმუნება, რომ ლას—ვეგასიდან ლოს-ანჯელესისკენ მგზავრობისას უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს.**



დევისი ყვება, რომ მოულოდნელად რკინის კუბში აღმოჩნდა, სადაც ნახევრადადამიანები, არამიწიერი არსებები თვალებში სხვადასხვა ფერის ნათურებს ანათებდნენ და ცხვირში უცხო სხეულებს ურჭობდნენ, გონსმოსული კი ისევ თავის მანქანაში აღმოჩნდა.

არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები, ეს ცალკე თემაა, მაგრამ გასარკვევია დევისი იმ სიტუაციაში ფხიზლად იმყოფებოდა თუ ეს ამბავი მხოლოდ მისი არაფხიზელი ფანტაზიის ნაყოფია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# სამირმა და ტატიანამ ერთმანეთი იპოვეს

**არც ერთი იყო ფრანგი და არც მეორე, მაგრამ ორივენი გალიის მიწაზე დაიბიჯებენ და ორივეს ჯიბეში ფრანგული პასპორტი უდევს. არც ერთს უჭირდა სექსუალური პარტნიორის პოვნა და არც მეორეს, მაგრამ ორივემ მხოლოდ ერთურთთან ყოფნა არჩია.**



მაშ ასე... ფრანგი ფეხბურთელი სამირ ნასრი და საფრანგეთის სახელით ადრე ჩოგნის მქნეველი ტატიანა გოლოვინი ერთად არიან. და არა მხოლოდ არიან. ერთად წვანან კიდეც და როგორც ამბობენ, მათი ერთად დაწოლის შემდეგ ისეთი ამბები ხდება, მტერსა და ავს...

თავიდან კი იძახდნენ, ჩვენს შორის სექსი კი არა, მხოლოდ გულითადი მეგობრობა სუფევსო, მაგრამ ფრანგ ჟურნალისტებს მოატყუებ შენ? დედამიწის გულში რა დევს, ის იციან და სამირ ნასრის ბედნიერი სახე და დაწმენდილი თვალები, აბა, რას გამოეპარებოდათ?...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## შაბათ-კვირის ჩანაწერები

# მიწა — გაყიდული, მომავალი — „დაკაიფებული“

**ვერა და ვერ ურიგდებიან „ნაციონალები“ პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომ 2014 წლის დეკემბრამდე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოელებზე არ უნდა გაიყიდოს. ერთადერთი ინვესტიციების შემომტანი, ეგღა დაგვრჩაო, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საქართველოში ინვესტორი აღარ შემოსულაო, უცხოელები თუ ყიდულობენ მიწას, ამით ადგილობრივი ბიუჯეტი მდიდრდებაო, აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი პალიკო კუბლაშვილი.**

ბატონო პალიკო (ბოდიში – პავლე, პავლე!) კარგით, დავუშვათ, რომ საქართველოს კუთხეებს, მხოლოდღა, ირანელის, ეგვიპტელის, ჩინელის და სხვათა ფულით ვკვებავთ, მაგრამ ქართული მიწა რომ ქართველ კაცს არ რჩება, ეგ, ვითომ, არაფერია?!. ესე იგი, თქვენ, „ნაციონალები“ გამოდიხართ რეალისტები, ქვეყნისთვის მოფიქრალნი და დანარჩენი საქართველო, ანდა, თუნდაც, „ოცნება“, რომანტიკოსია?!

ერთი ეს გვიბრძანეთ, ბატონო პავლე, ზოგიერთმა ქართულმა ბანკმა ქართველ ფერმერს უდროო დროს რომ ვალი მოსთხოვა, ფერმერი კი, ამის გამო, იძულებული გახდა, გადამთიელისთვის მიეყიდა მიწა (პარლამენტის ტრიბუნიდან გაისმა), რა გგონიათ თქვენ, ვინ წააქეზა ბანკები პრინციპით: „ხელი ხელს ბანს?!“ ვითომ იგი, რომელიმე, „სამშობლოზე მოფიქრალი“ – „ნაციონალი“ არ იყო?! ერთმანეთის ქიშპობაში, ასე გვეცლება ხელიდან მშობელი მიწა, პატივცემულო პალიკო! და ამას, უფროსების წაჯექ-უკუჯექობას, კარგად ხედავს და კარგადაც ითვისებს მომავალი თაობა, რომელიც, როგორც საინფორმაციო სააგენტოები გადმოგვცემენ, „ხოშიანად“ ერთობა აფთიაქებში ურეცეპტოდ შეძენილი სხვადასხვა ფსიქოტროპული



საშუალებებით. ამ „საკაიფო“ რამერუმეებს, ახლახან კიდევ ერთი საწამლავი „ანდანტე“ შემატებია, რომელიც ურეცეპტოდ 25 ლარად ფასობს და რომლის შესაძენად აფთიაქებთან 13-14 წლის გოგო-ბიჭების რიგი დგას!

ახლა უკვე თქვენთან გადმოვდივარ „ალავერდს“ ახალო ხელისუფლებავ! რა ხდება ასეთი ბატონო ჯანმრთელობის მინისტრო?! კარგით, „ნაციონალები“ ნარკოტიკითა და ნარკომანებით მდიდრებოდნენ, თქვენ, ხალხო, საქართველოს მომავალზე მოფიქრალნო (ეს ფრაზებიც იდო თქვენს საარჩევნო პროგრამაში), ათი თვე ის ვერ მოახერხეთ, თუ რომელიმე წამალი ნარკოტიკს უკავშირდება, აფთიაქებმა ურეცეპტოდ არ გაყიდონ?!. **ნასულია, ძმებო, ჩვენი საქმე – მიწა გაყიდული, მომავალი – „დაკაიფებული“! რა სჯობს ამ ყოფას!**



# გორის საფეხბურთო კლუბს „დილა“ რატომ ჰქვია?!

**მიშამ და მისმა დამქაშებმა, სტალინის გამო, ერთი ამბავი რომ ატეხეს, გორში ჯუღაშვილის ცნობილი ძეგლი ნაშუაღამევს „მოაძვრეს“ და სადღაც მოისროლეს (ვაი, ჩვენს პატრონს!), გორელებს, ყველას გასაკვირად, თითქმის, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.**

ახლა ისევ „წამოიჭრა“ დიდი სტალინის ძეგლის თავის სამშობლოში დადგმის საკითხი. ხალხს თუ კითხავ, აბსოლუტური უმრავლესობა თანახმაა. თუმცაღა, ზოგიერთი ახალგაზრდა წინააღმდეგია! მიხეილმა და მისმა „რაზმმა“ ისე მოწამლა ახალი თაობა, რომ სტალინის შესახებ არაფრის გაგება არ უნდათ, სისხლისმსმელი იყოო, გიპასუხებენ და, მორჩა. თუმცა, ასეთი გაუნათლებლობაც მურდლობაა: „რატომ ჰქვია გორის საფეხბურთო კლუბს „დილა“? – ვეკითხები ერთ ყმაწვილკაცს სტალინის ეპოქაზე კამათისას. დაიბნა თავმომწონე „ფეისბუქელი“, მხრები აიჩეჩა, არ ვიციო...

– კი, მაგრამ, სახლში არ გასწავლეს, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა“, სოსო ჯუღაშვილის რომაა და „დილა“ ჰქვია?.. – ვეკითხები გაკვირებული.

– არ ვიცი, არც სახლში უყვართ სტალინი...

– სტალინის სიყვარული რა შუაშია, ბიჭო!.. თაობები გაზარდა იაკობ გოგებაშვილმა ამ ლექსზე!..

– მე არ ვიცი და!..

– ჰოდა იყოს სტალინი ასე – ვინც აფასებს და ვინც ვერ აფასებს... ისტორია თავისას კვლავაც იტყვის!..

# ელიობა

**დიდი ამბები ხდებოდა ელიობას – 2 აგვისტოს მაღლაკში. მთელი სოფელი იხდიდა ელიობის დღესასწაულს. ქუთაისიდან, წყალტუბოდან, ხონიდან, ახლომახლო სოფლებიდან, თუ ვინმეს ნათესავი ან ახლობელი ჰყავდა მაღლაკში, ყველა იქით მიიჩქაროდა. თითქმის ყველა ოჯახში იშლებოდა სუფრა, ისმოდა არღნისა და გარმონის ხმა, კოინდრიან ეზოებში იყო ერთი ცეკვა და ბუქნაობა.**

მთავარი მაინც გუბისწყლის ხიდთან ხდებოდა. სეირნობდნენ ჯგუფ-ჯგუფად ქალ-ვაჟები, გამოტანილი იყო გასაყიდად საზამთრო და ნესვი, მსხალი და თხილი... ფეხმორთხმული სვამდნენ სასმელს, მღეროდნენ, შიგადაშიგ გაწევ-გამოწევაც იყო... ვიღას ახსოვს, „აღარ გვინდა ტალახიო, ღმერთო, მოგვეც გოროხიო“... ღმერთი და ლოცვა რომ არ გაჭაჭანებულიყო, რაიონის ხელისუფლებამ კარგ გამოსავალს „მიაგნო“ – მაღლაკში ელიობა მეჩაიეს დღედ გამოაცხადა და კულტურის სახლში მოწინავე მეჩაიეებს სიგელებით აჯილდოებდა, ამით, ვითომ, აფერხებდა დღესასწაულის მსვლელობას, მაგრამ ხალხი მაინც ელიობას იხდიდა და მისი დიდი ძალის იმედი ჰქონდა.

ეეეე... გაფრენილა სიყმაწვილე...

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

მეუღლე თენგიზ ჭუმბურიძე, შვილი სანდრო ჭუმბურიძე, რძალი ხათუნა მიქაძე, შვილიშვილები თენგიზ, გიორგი ჭუმბურიძეები, რძალი თათა ბალავაძე, და იავნანა ბერიძე, დისწულები ლუარსაბი, გიორგი, ეკა კარბელაშვილები, თოლია სტურუა, მძახლები მანანა, დემურ მიქაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ ბერიძე**

პანაშვიდი 6, 7 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 8 VIII, 15 სთ. მისამართი: რ. ერისთავის №6.

---

მანანა, დემურ მიქაძეები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ მძახალი, უსათნოესი ქალბატონი, შესანიშნავი ადამიანი

**ნუნუ ბერიძე-ჭუმბურიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს. პანაშვიდი 6, 7 VIII 17 სთ. გამოსვენება 8 VIII 15 სთ. თბილისი, რაფიელ ერისთავის ქ. 6.

---

ოთარ ტურაბელიძე, ირაკლი ამაშუკელი, ოთარ კანდელაკი, ვაჟა ჯიჯავაძე, ბიძინა ჩიგოგიძე, გიორგი ლაშხი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**ბიძინა ფურცელაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

## ინფორმაცია

# აღმოსავლეთ საქართველოში მიწისძვრა მოხდა

**აღმოსავლეთ საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები გუშინ საღამოს, საგარეჯოდან 17 კილომეტრში, სოფელ ახალსოფელში დაფიქსირდა.**

**მიწისძვრის სიმძლავრემ 2,5 მაგნიტუდა შეადგინა.**

**ინტერპრესი**

## დედაქალაქი

# სახლის წინ... სახლი

**თუ როგორი იყო ბოლო თითქმის ათწლეულის მანძილზე მთლიანად საქართველოს „მთავარი ხუროს“ მოღვაწეობა და რა იყო იმის მოტივაცია, რომ ზოგადად ქვეყანაში, მათ შორის, ცხადია, დედაქალაქში უამრავი ისეთი ახალი „ანტიფონცკი“ ნაგებობა გაჩნდა, რომელიც არც თვალს ახარებს, არც გულს, დარწმუნებული ვართ, ყველამ კარგად იცის.**

თუმცა, ყურადღება თემის მეორე ასპექტზე გვინდა გავამახვილოთ: არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მთელ რიგ მართლაც საჭირო და სავსებით მისაღებ სამშენებლო თუ არქიტექტურულ სიახლესთან ერთად, გაცილებით უფრო მეტი მავანთა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად, ელემენტარულად ფულის გასათეთრებლად და მის „გასაქრელად“ გაკეთდა. ბუნებრივია, ეს ზოგადი აზრია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას კი შესაბამისი მტკიცება სჭირდება, რაც გაზეთის პრეროგატივას სცილდება, მაგრამ ამა თუ იმ ახალმშენთან დაკავშირებით, მისი აშენების აუცილებლობისა თუ წმინდა ესთეტიკური ღირებულების შესახებ აზრის გამოთქმის უფლება ნამდვილად გვაქვს.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია მარჯანიშვილის ქუჩაზე, თეატრის მიმდებარედ „სახლის წინ სახლის“ აშენების მიზანშეწონილობის შესახებ.

მსგავსი რამ, ალბათ, სხვაგან იშვიათად გაკეთებულა, როცა ქალაქის ცენტრში ქუჩის პირას მდგარ მაღალსართულიანი კორპუსის წინ, რომლის მთელ, ლამის ასმეტრიან გაყოლებაზე უამრავი სხვადასხვა კომერციული ობიექტი იყო, რამდენიმე სართულიანი სახლი აღმოსავლეთის მხრიდან წამოჭიმეს. უწინდელი სამშენებლო ნორმებით ამის გაკეთება, თუნდაც სახლებს შორის მინიმალური მანძილის, ასევე ინსოლაციის (ანუ ბუნებრივი განათების შეზღუდვის) გაუთვალისწინებლად, ყოვლად დაუშვებელი იყო, ამდენად, მშენებლობის ნებართვას საკითხზე პასუხისმგებელი არც ერთი ინსტანცია არ გასცემდა. მეორე გარემოება ისაა, რომ ის ხალხი, რომელთა კომერციული ობიექტები ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის ფასადიდან თვალის ერთ დახამხამებაში მის „უკანა ეზოში“ მოხვდნენ, რის შედეგად ყველა დაიხურა, მეპატრონეების ზარალი კი რამდენნულიანი ციფრებით გამოიხატება, შეიძლება თავადაც ვერ ითვლიან.

მესამე მომენტი ამ „სახლის წინ სახლის“ აშენებასთან მთლად პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ერთი მეტ-ნაკლებად საღად მოაზროვნე კაცი ვერ ახსნის, თუ რა საჭიროებამ განაპირობა მის მიმდებარედ, უზნაძის არც მთლად მოვლილ ქუჩაზე პომპეზურობის პრეტენზიული ვითომ „ტრიუმფალური თაღის“ აგება, რომელიც ბაზარში სავაჭროდ წასულ ბრილიანტებასხმულ ქაჯ ქალს უფრო ჰგავს, ვიდრე დარბაისელ ქალბატონს.

კიდევ ერთი და, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ისაა, რომ იქ, სადაც ახლა სახლის წინ სახლი დგას, საკმაოდ დიდი ავტოსადგომი იყო, რომლის მოშლამ თბილისის ცენტრში მანქანების გასაჩერებელი ადგილების ისედაც კატასტროფული დეფიციტის პირობებში მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაართულა. ამის გამკეთებლებმა არც ის გაითვალისწინეს, რომ მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენაზე მისვლა ხალხს ახლა იძულებით საქალაქო თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უწევს, რადგან ავტომანქანების სადგომი მახლობლად, ფაქტობრივად, არ არის.



ახლა კი, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ამ ორ ლამის სიამის ტყუპებივით შეზრდილ შენობებში კომერციული ფართების მეპატრონეებმა ნელ-ნელა ქუჩის მხარეს დაბალი ბორდიურების მოშლა და იქაურობის თავიანთ საჭიროებებისდა მიხედვით მორგებაც დაიწყეს.

თანაც ამ ჩაყამებულ-ჩამუქებულ ნაცრისფერ გარემოს ერთი მწვანე ლაქაც არა აქვს – მის შემოქმედებს არა თუ რამდენიმე თუნდაც მცირეტანიანი ხის დარგვა, ყვავილების გასახარი მცირე კონსტრუქციების გამორთვა არც უფიქრიათ.

კარგია მერე ეს?

**ოთარ ტურაბელიძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## მრავალჟამიერ!

# ჩვენს ძვირფას მეგობარს მარინა კანდელაკს ვულოცავთ დაბადების დღეს!



ძვირფასო მარინა!

ჩვენს გულწრფელ სიყვარულსა და ასევე გულწრფელ პატივისცემას შენ მიმართ სულაც მარტო ის არ განაპირობებს, რომ შენ ჩვენი გაზეთის, ამჟამინდელ საქართველოში ყველაზე ასაკოვანი გაზეთის —„საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი-დირექტორი და მართლაც მშობლიურად მზრუნველი ადამიანი ბრძანდები.

ჩვენს პატივისცემასა და სიყვარულს შენ მიმართ უწინარესად განსაზღვრავს შენი ღრმად ადამიანური პიროვნება, შენი თანდაყოლილი იმედიანობა, ბუნებათანაზიარობა, გულმოწყალება, სითბო, უანგარო თანადგომა და, რაც მთავარია, ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიური სამსახურის დიდი უნარი და ნიჭი.

ძვირფასო მეგობარო! შენი ცხოვრების მთელი ამ გამოვლილი წლების მანძილზე ყოველ შენს საქვეყნოდ მნიშვნელოვან საქმეში ყოველთვის ხუთოსანი იყავი და ხარ. ახლა, როცა ორჯერ ხუთოსანი ხვდები შენს დაბადების დღეს, ესეც სრულიად ბუნებრივია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მარტო გამოვლილი წლები როდია, ეს, როგორც იტყვიან, შენიც და ჩვენი საერთო სიმდიდრეც არის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ადამიანურობის სასწორით თუ აიწონება.

გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს. შენ გვერდით ყოფნა მუდამ ახალ-ახალი კეთილი წარმატებების საწინდარია.

შენს მუდამ იმედიან თანადგომას გაუმარჯოს!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მადლიერი თანამშრომლები, რომლებსაც ძალიან უყვარხარ**

## ⦿ ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### ჟვანიას მკვლელობა სააკაშვილის თვალწინ მოხდა

ცნობილი ექსპერტი „კავკასიის საკითხებში“ მამუკა არეშიძე გვიყვება: — ამას პირველად თქვენ გეუბნებით — წყარო, რომელმაც მითხრა, რომ ჟვანიას მკვლელობა სააკაშვილის თვალწინ მოხდა, ამერიკელია, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ სერიოზულ სტრუქტურაში მუშაობს... წყარო ასევე ამბობს, რომ ჟვანიას მკვლელობას სააკაშვილთან ერთად ადეიშვილიც ესწრებოდა. — დარწმუნებული ვარ, ჟვანიას მკვლელობაზე სააკაშვილი პასუხს აგებს! ივანიშვილი ამ ამბავს ნამდვილად არ მოაკლებს ყურადღებას! „ნაციონალები“ აუცილებლად გააპიარებენ ციხეში მჯდომი მერაბიშვილის „ავადმყოფობას“, რათა განმეორდეს იგივე, რაც უკრაინაში ხდება ტიმოშენკოსთან დაკავშირებით“.

**„ასავალ-დასავალი“**

### უნდა დადგეს თუ არა სუბარის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

პატიმრები, განაჩენის გადახედვისა და მძიმე ავადმყოფობის გამო გათავისუფლების მოთხოვნით, შიმშილობის მორიგი აქციის დაწყებით იმუქრებიან. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემების გამო, სახალხო დამცველი სახელმწიფო უწყებებში შესაბამისი წინადადებების დაყენებას გეგმავს. პატიმრების მდგომარეობის გამო სასჯელაღსრულების სამინისტროს პასუხისმგებლობაზე საუბრობს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე: „საქმის გადახედვას უამრავი პატიმარი ითხოვს, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა ისინი უსაფუძვლოდ გაასამართლა. ასევე, მოთხოვნებია, რომ ვადამდელი გათავისუფლების კომისიამ კანონის შესაბამისად იმუშაოს“.

**„რეზონანსი“**

### თუ გენერალ კალანდაძეს ამართლებთ, მე რა დავაშავე?!

ლეიტენანტი დავით ნემსაძე არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელიც სისტემის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ეს სწორედ მტკივნეულია. როგორც დავით ნემსაძე ყვება, მის მიმართ დევნა-შევიწროება დაწყებულია მას შემდეგ, რაც ხმამაღლა გაუკრიტიკებია 2008 წლის ომის მოვლენები სამხედრო-ტაქტიკური ანალიზის დონეზე... „პირველი სიგნალები ჩემს შესავიწროებლად გაისმა მაშინ, როდესაც უარი ვთქვი ომის დროს დაკარგულ-მოპარული საწვავის ჩამოწერის გამო, ეცადნენ ჩემს გადაბირებასაც... თუ „გენერალ“ კალანდაძეს აქვს რეაბილიტაციისა და გამართლების უფლება, რა დავაშავეთ უბრალო ადამიანებმა მისგან განსხვავებით“.

**„ახალი თაობა“**

### „ალასანია, უსუფაშვილი და ბაქრაძე ახალ კოალიციას შექმნიან“

— ფიქრობს კახა კუკავა, — ივანიშვილს პარლამენტში თავისი გუნდი არა ჰყავს, რესპუბლიკელები და ალასანია კი მძლავრი გუნდებით არიან წარმოდგენილი... რესპუბლიკური პარტია უპირისპირდება პრემიერ-მინისტრის გუნდს, კბილაშვილი მიზანმიმართულად მოქმედებს და ამის გამო მისი დაპატიმრებისა და ბრალის წაყენების საკითხი აუცილებლად დადგება. ვერ ხედავთ, რომ მერაბიშვილის საქმესაც შეგნებულად აფუჭებს პროკურატურა, რომ მერე სასამართლომ გაამართლოს? კოტე კუბლაშვილიც უკვე „ოცნების“ მოსამართლეა.

**„კვირის პალიტრა“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ⦿ დაიჯესტი

### დედა საჭირო აღარ იქნება, აღარც მამაზეციერი?



**მეცნიერები ხელოვნური საშოს შექმნის ზღვარზე არიან მისული, სადაც ემბრიონები დედის სხეულის გარეშე შეძლებენ განვითარებას. მიაჩნიათ, რომ ეს გამოგონება შვილის ყოლის შესაძლებლობას ყველას მისცემს მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე პარტნიორის გარეშეც კი!**

— ტექნიკურად ხელოვნური საშოს შექმნა შესაძლებელია, მაგრამ სრულფასოვნად განვითარება და ზრდა ემბრიონს მხოლოდ ქალის ორგანიზმში შეუძლია, — მიაჩნიათ ადამიანის რეპროდუქციის დარგის სპეციალისტებს.

ჩვენ მხრივ კი დავძენთ, რომ იმ მეცნიერებმა, ვინც ამ საკითხზე მუშაობენ, სრულად უნდა გაითვალისწინონ პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე და ფრანკენშტეინების შექმნაზე დროზე აიღონ ხელი. თუ გნებავთ ორთოდოქსები დაგვიძახეთ, მაგრამ ამ საკითხს უდიდესი ზნეობრივი ასპექტიც ხომ აქვს, რელიგიაზე კრინტიც, რომ არ დავძრათ?

### დიდცხვირობის სიკეთე



**დიდი ცხვირის პატრონი ადამიანები ინფექციებისგან სხვებისგან უკეთ დაცულნი ყოფილან.**

**აღმოჩნდა, რომ სწორედ სახის ეს მეტად „თვალსაჩინო“ ნაწილი იცავს მის პატრონს გაციებისა და გრიპის ვირუსებისგან.**

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევით დადგინდა, რომ მოზრდილი ცხვირი ჩვენ ორგანიზმში 7 პროცენტით ნაკლებ მტვერის ნაწილაკსა და ბაქტერიას „უშვებს“, რომლებიც საჰაერო წვეთოვანი გზით გადაიტანებიან.

### ჩაი... სიბერის წინააღმდეგ



**სინგაპურელმა სპეციალისტებმა გასაოცარი აღმოჩენა გააკეთეს: თურმე ჩაი... გონებასუსტობისგან იცავს!**

მკვლევარებმა 1500 მოხალისის გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ისინი, ვინც დღეში 4 ფინჯან შავ ჩაის მიირთმევდა, გონებასისუსტით 40 პროცენტ შემთხვევაში უფრო ნაკლებად ავადდებოდნენ. ასევე გაირკვა, რომ სამკურნალო ეფექტი მხოლოდ ახლად მოხარშულ ხარისხიან ჩაის აქვს, რომლის დასაყენებლად კარგად გაწმენდილი წყალი უნდა გამოვიყენოთ.

### კბილები ჯანსაღი რომ გვქონდეს



**იაპონელმა ექიმებმა ხელოვნური კბილის ემალი შექმნეს.**

იგი მიკრონის სისქის თხელი აპკია, რომლის საფუძველს ცვეთის გამძლე, უაღრესად ელასტიური მასალა წარმოადგენს. ყოველი ცალკე კბილის მისით დაფარვა სავსებითაა შესაძლებელი, რაც კარიესის თავიდან აცილებისა და კბილების გათეთრების საუცხოო საშუალებაა. ასეთი საფარი ასევე კბილების ძლიერი მგრძნობიარობის შემცირების საუკეთესო ხერხია.

## ⦿ ცინცხალი ანეკდოტები

— ექიმო, როგორ ფიქრობთ, ვიცოცხლებ?
— ეს მეც მაინტერესებს.

* * *

მიხო გათავისუფლდა 80 კილოგრამი ზედმეტი წონისაგან: როგორც იქნა განქორწინდა.

* * *

— ეს ჩემი ნაშა წმინდა წყლის ბრეჟნევია, — ეუბნება პეტკა ძმაკაცს.
— რა, ისეთი საშინელი შესახედავია?
— არა, ყველა შემხვედრს კოცნის.



ორი მშიერი სტუდენტი ქუჩაში მიდის. ხედავენ, რომ მესამე სართულის აივანზე შებოლილი ძეხვის ასხმა ჰკიდია. ერთი სტუდენტი ზექსზე დადგა, მეორემ კი აივანზე დაიწყო აცოცება.

ქვევით მდგომს პოლიციელი მიუახლოვდა.
— რას აკეთებ აქ?
— რას და, — მეორეზე მიუთითებს, — საახალწლო საჩუქრებს ვკიდებთ.
— რას ამბობ, კაცო, ახლა ხომ ოქტომბერია!
— მართლა? პეტკა! ჩამოხსენი ის ძეხვები და ჩამოდი, იდიოტო, ხომ გეუბნებოდი, ახალი წელი ზამთარშია-მეთქი!!!

## ⦿ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მორიგე პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24